

ქ

საქართველო

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური



ქ

საქართველო

58



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



აქ და ვარჯაანე — ალავერდის ტაძარი.  
Здесь и на обложке. Храм Алаверди.



ქართული  
ენების ცენტრი

სერია: „მატიანეობრივი კულტურის ძეგლები“

# ქველვის ქობინა

ქართული ენის ცენტრი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდება . . . . .	5
ავთანდილ იოსელიანი — ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა დღევანდელი . . . . .	17
მიხეილ ცანტარაძე, ღიმიტრი მათუნაშვილი, თამარ მესხაძე — ძეგლის აღდგენა- გამაგრების ერთი მაგალითი . . . . .	27
ნოზარ ცანაძე, ნანული თოფლა, ლევან თოფურია, მარინე ბაშკაძე, ნინო შილაძე — ვანაძიანის „ეკლესიის ბიოტური ეროზიის გამოწვევი მეცნარეობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა . . . . .	31
მივი კიშირია, მიხეილ ცანტარაძე — მახუნეთის ხიდის თაღოვანი შალის გაან- გარიშების შედეგები . . . . .	45
ნიმონ ვანტარაშვილი — დანქის ფორმები ადრე შეასაუკუნეების საქართველოში . . . . .	48
სილა ბაზარაშვილი — სვანური ქუდი . . . . .	53
პალისტრატე სპაშვია — წარმართული ხანის ზოგიერთი სავოკრაფო სახეობის ეტი- მოლოგიისათვის . . . . .	56
ბ. შანიძე — ეკონომიკური მშობლიურ მხარეს სოფელ კინჩის ღირსშესანიშნაობანი . . . . .	61
საბა ზაქარაშვილი — სოფელ ვალეს ისტორიისათვის . . . . .	65
სოფიო ხუღაძე — პატრიოტული აღზრდის მძლავრი საშუალება . . . . .	71
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე . . . . .	74—78

СО Д Е Р Ж А Н И Е

Устав грузинского общества охраны памятников истории и культуры . . . . .	5
А. Иоселиани — Открытие лапидарной надписи крепости хомули и ее научное значение . . . . .	17
М. Центерадзе, Д. Дагунашвили, Т. Немсадзе — Пример восстановления и укрепления памятника . . . . .	27
Н. Цаная, Н. Тодуа, Л. Топурия, М. Гамкrelidze, Н. Шилакадзе — Меры борьбы против растений на Вачнадзианском «квелацминда» . . . . .	31
Г. Кизирия, М. Центерадзе — Результат вычисления арочного пролета Махунцетского моста . . . . .	45
С. Чантуришвили — Формы наказаний в раннефеодальной Грузии . . . . .	48
Ц. Безарашвили — Сванская шапка . . . . .	53
К. Самушиа — Вопросы этимологии некоторых географических имен языческого периода на Уртский ансамбль . . . . .	56
А. Паилодзе — Достопримечательности села Кинча . . . . .	61
С. Захрошвили — Из истории села Вале . . . . .	65
С. Хуღაძე — Могучее средство патриотического воспитания . . . . .	71
Аннотации на русском и английском языках . . . . .	74—78



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს მიერ  
1981 წლის 11 მაისი

საქართველოს ისტორიისა და  
კულტურის ძეგლთა დაცვის  
საზოგადოებრივი წესდება

### 1. საზოგადოების ამოცანები

1. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება წარმოადგენს ნებაყოფლობით მასობრივ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს აქტიურად შეუწყოს ხელი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

2. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება:

ა) წარმართავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ ისტორიისა და კულტურის ძეგლებისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული კულტურის ძეგლთა გამოვლენას, აღრიცხვას, მეცნიერულ შესწავლას, აღდგენა-გამაგრებასა და დაცვას;

ბ) ხელს უწყობს მოსახლეობაში საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობების ჩამოყალიბებას, მშრომელთა იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის საქმეს;

გ) ეწევა მოსახლეობაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების ფართო პროპაგანდას რომელიც ავითარებს საშუალო სიყვარულს მისი ისტორიის, ხალხის შრომისა და ნიჭისადმი ღრმა პატივისცემას;

დ) ახორციელებს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და

მოვლა-აღდგენის მიზნით მოწინავე იდეების, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვას;

ე) იზიდავს მოსახლეობის ფართო მასებს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში აქტიური და უშუალო მონაწილეობისათვის. ამ ძეგლებს განეკუთვნებიან: ისტორიულ-რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ღიძების მემორიალები, ძმთა სასაფლაოები მეცნიერებისა და ტექნიკის, ისტორიის, საერო და საკულტო, არქიტექტურის, არქეოლოგიის, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ხალხურ-მხატვრულ ნაკეთობანი, ძველი დამწერლობის, ლიტერატურული ძეგლები და სხვა;

ვ) ეწევა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ფართო პროპაგანდას, ამ მიზნით, გამოსცემს სამეცნიერო-პოპულარულ კრებულს «ძეგლის მეგობარს», ზამკვლევებს, ბუკლეტებს, ფოტო-ილუსტრირებულ ალბომებს, ღია ბარათებს, ეწევა სალექციო მუშაობას, აწყობს გამოფენებს, კონფერენციებს, სესიებს, სემინარებს, შეხვედრებს, დისკუსიებს, იყენებს პრესას, რადიოს, ტელევიზიას, კინოსა და პროპაგანდის სხვა საშუალებებს;

ზ) აწყობს წინასწარ გათვალისწინებული გეგმით კონკურსებს საუკეთესო მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოებების, ფოტოების, სუვენირების შექმნის, გამოვლენისა და პროპაგანდისათვის;



თ) ამყარებს მეცნიერულ და საქმიან ურთიერთობას საქართველოს სსრ და მოკმე რესპუბლიკების საზოგადოებებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, შემოქმედებით კავშირებთან და სპეციალისტებთან, აგრეთვე უცხოეთის შესაბამის საზოგადოებებთან, ორგანიზაციებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან;

ი) აქტიურად იბრძვის დრომოჭმული რელიგიური გადმონათების, მკენე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, ხელს უწყობს ახალი პროგრესული საბჭოური ტრადიციების დანერგვას;

კ) ავლენს და საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად ხდის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისადმი მოქალაქეთა და დაწესებულება-ორგანიზაციების მხრივ დანაშაულებრივი მოქმედების ფაქტებს. საჭიროების შემთხვევაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მიმართავს სათანადო ორგანოებს კანონის დარღვევით წარმოებული სამუშაოების შეწყვეტის, დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მოქალაქეთა პასუხისმგებლობისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ;

ლ) შეაქვს საკანონმდებლო ორგანოებში წინადადებანი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხებზე;

მ) კონტროლს უწევს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღდგენა-გამაგრების სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობასა და ხარისხს;

ნ) ხელს უწყობს დაწესებულება ორგანიზაციების შეფობას ძეგლებზე და ყოველმხრივ ეხმარება მათი საშეფო მუშაობის მეცნიერულ და პრაქტიკულ წარმართვას;

ო) ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის, მეცნიერული შესწავლისა და პოპულარიზაციის მზინით, ზემდგომი ორგანოების მიერ განსაზღვრული პროფილის, დამტკიცებული გეგმებისა და არსებული წესის შესაბამისად ხსნის საწარმოებს ხალხური რეწვის პროდუქციისა და მხატვრული სუვენირების დასამზადებლად;

პ) აფინანსებს და ამტკიცებს საზოგადოების მიერ წარმოებული მშენებლობების ხარჯთაღრიცხვებსა და საფინანსო გეგმებს;

რ) ხსნის მხატვრულ-სასუვენო ნაკეთობათა და ხალხური რეწვის პროდუქციის სარეალზაციო პუნქტებს.

## II. საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობანი

3. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება აერთიანებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრებს.

4. საზოგადოების ინდივიდუალური წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 14 წელს მიღწეული მოქალაქე, ვინც გაიზიარებს საზოგადოების წესდებას, სურვილი აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმიანობაში, კეთილსინდისიერად შეასრულოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების ყველა დავალება და გადაწყვეტილება.

5. საზოგადოების კოლექტიური წევრი შეიძლება გახდეს რესპუბლიკის სახელმწიფო საზოგადოებრივი, კოოპერაციული, სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაცია, დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე სამხედრო ნაწილები.

6. საზოგადოების ინდივიდუალურ

წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ყველა ორგანიზაციულ, მეთოდურ, პრაქტიკულ და პროპაგანდისტულ საქმიანობაში;

ბ) გადამწყვეტი ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების ყველა კრებასა და თათბირში;

გ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების აღმასრულებელ და სარევიზიო ორგანოებში.

7. საზოგადოების წევრად მიღება ხდება ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ან მისი საბჭოს მიერ.

8. საზოგადოების კოლექტიურ წევრად მიღება ხდება საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ან ძირეული საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებით.

9. საზოგადოების კოლექტიური წევრი საზოგადოების წევრის უფლებას ახორციელებს თავის წარმომადგენლის მეშვეობით.

10. საზოგადოების წევრი გამოდის საზოგადოებიდან პირადი ვანცხადებით, ხოლო საზოგადოების წესდების დარღვევის შემთხვევაში გაირიცხება პირველადი ორგანიზაციის საბჭოს დადგენილებით.

### III. საზოგადოების ორგანოები

11. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების უმაღლესი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც იწვევენ 5 წელიწადში ერთხელ.

12. ყრილობათა შორის პერიოდში საზოგადოების მუშაობას ხელმძღვანელობს ყრილობის მიერ არჩეული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, რომელიც ყოველდღიური მუშაობისათვის თავისი შემადგენლობიდან

ირჩევს პრეზიდიუმს, პრეზიდიუმი კი ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სწავლულ მდივნს.

რესპუბლიკური საბჭოს სხდომები მოიწვევა წელიწადში არანაკლებ ორჯერ, ხოლო საბჭოს პრეზიდიუმისა — ორ თვეში ერთხელ.

13. ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში იქმნება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კონფერენციაზე არჩეული საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, რომლებიც თავის მხრივ ირჩევენ პრეზიდიუმს. პრეზიდიუმი ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები აირჩევა 5 წლის ვადით. მათი სხდომების მოწვევა ხდება არანაკლებ 6 თვეში ერთხელ.

14. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობაზე, აგრეთვე საოლქო, საქალაქო და რაიონულ კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

15. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები იქმნება საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, წარმოება-დაწესებულებებთან, ფაბრიკა-ქარხნებთან და სხვ. შენიშვნა: საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის შესაქმნელად საჭიროა სულ მცირე 10 წევრი.

16. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს 3-7 კაციისაგან შემდგარი საბ-



ჭო, რომელსაც ირჩევს საერთო კრება. საბჭო ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

17. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობა:

- ა) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების მუშაობის ანგარიშს;
- ბ) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების წესდებას;
- გ) ირჩევს საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიას, განსაზღვრავს მათ რაოდენობას;
- დ) განიხილავს და ამტკიცებს საბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას.

18. საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციების კრებები:

ა) განიხილავს და ამტკიცებენ საბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს;

ბ) ირჩევენ საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიას.

19. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული ძირეული საბჭოების კომპეტენციაში შედის:

ა) საზოგადოების მუშაობის ხელმძღვანელობა და ყრილობების, კონფერენციებისა და პირველადი ორგანიზაციების კრებების დადგენილებათა განხორციელება;

ბ) სამუშაო გეგმის შემუშავება, მომავალი წლისათვის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და დამტკიცება;

გ) საზოგადოების მთელი ადმინისტრაციული, სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის ხელმძღვანელობა;

დ) საზოგადოების ყრილობის, კონფერენციებისა და პირველადი ორგანი-

ზაციების კრებების მოწვევა, მოხსენებებისა და ანგარიშების მომზადება.

20. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საოლქო, საქალაქო, რაიონული კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებები ირჩევენ სარევიზიო კომისიებს 3-9 წევრის შემადგენლობით.

სარევიზიო კომისიები კონტროლს უწევენ გამგეობებისა და პრეზიდიუმის მიერ საზოგადოების წესდების, ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და სამუშაო გეგმების შესრულებას, ახორციელებენ საზოგადოების, მისი საწარმოებისა და სხვა დაწესებულებების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და მატერიალურ ფასეულობათა მდგომარეობის გამოკრევეას და დოკუმენტურ რევიზიას. სარევიზიო კომისია წარმოადგენს საკონტროლო ორგანოს და თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს საზოგადოების ყრილობას, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კონფერენციებს და პირველადი ორგანიზაციების კრებებს.

სარევიზიო კომისიის უფლება აქვს მოსთხოვოს პრეზიდიუმის გამგეობას და მის წევრებს, საზოგადოების საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს საჭირო დოკუმენტები, ახსნა-განმარტება. სარევიზიო კომისიებს შეუძლიათ ცალკეული რევიზიების ჩასატარებლად მოიწვიონ სპეციალისტები.

21. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობის, კონფერენციებისა და პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების მიერ განსახილველი საკითხები გადაწყდება ხმის უმრავლესობით.

22. საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები რაიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოები საზოგადოების ზემდგომ ორგანოს ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ.

23. საქართველოს ისტორისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება და მისი ძირეული ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის ყველა უფლებით, აქვთ მრგვალი ბეჭედი (საზოგადოების ემბლემისა და სახელწოდების გამოსახულებით) და შტამპი.

#### IV. საზოგადოების სახსრები

24. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სახსრები, რომლებიც საჭიროა საორგანიზაციო, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის, საშტატო ერთეულების შენახვის, ძეგლების მოვლის, აღდგენა-გამაგრებისა და სხვა სამუშაოების შესრულებისათვის, შედგება:

ა) ყოველწლიური საწევრო შესატანისაგან;

ბ) ძეგლების შესახებ ცნობარების, მგზუბრების, სუვენირების, სამახსოვროებისა და სხვა სახის გამოცემების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებიდან;

გ) დამხმარე საწარმოებიდან მიღებული ფულადი შემოსავლებიდან;

დ) ინდივიდუალური პირების შესატანისაგან, რომლებიც ყოველწლიურად ძეგლების შესაკეთებლად საზოგადოების ანგარიშზე შეიტანენ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს. აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებიდან, საბჭოთა მეურნეობებისაგან

და სხვა ორგანიზაციებისაგან შეწირული თანხებისაგან.

25. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესატანები დაწესებულია: ინდივიდუალურ წევრთათვის — შესასვლელი შესატანი ოცდაათი კაპიკი, საწევრო — სამოცი კაპიკი წელიწადში; მოსწავლეთათვის შესასვლელი შესატანი ათი კაპიკი, საწევრო — ოცი კაპიკი წელიწადში; კოლექტიურ (იურიდიულ) წევრთათვის საწევრო შესატანი ათი მანეთიდან ზევით.

შენიშვნა: საზოგადოების წევრებს საწევრო შესატანი შეაქვს წელიწადში ერთხელ, შესატანი იფარება მარკებით.

26. საწევრო შესატანები შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულ ან საქალაქო საბჭოს ანგარიშზე, შეგროვილი თანხის 20 პროცენტი ეკუთვნის საზოგადოების სათანადო პირველად ორგანიზაციებს. რაიონული და საქალაქო საბჭოები მთლიანი შემოსავლის 50 პროცენტს ურიცხავენ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს.

შენიშვნა: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოები, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქალაქო (თბილისის) ტერიტორიაზე, დარჩენილი თანხის 80 პროცენტს ურიცხავენ სათანადო საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ საბჭოებს, საქალაქო და საოლქო, საბჭოები კი მათ ანგარიშზე შემოსული თანხის 50 პროცენტს ურიცხავენ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს.



27. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესაბამისი ფონდების ანაზღაურების ოდენობის ჩარიცხვის წესს და სახსრების დანიშნულებით გამოყენებას საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმში წარმართავს დადგენილი წესის მიხედვით. ფონდების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი.

28. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება ქმნის შემდეგ ფონდებს:

- ა) ძირითად ფონდს;
- ბ) სარეზერვო ფონდს;
- გ) სპეციალურ ფონდს;
- დ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდს;
- ე) საბრემიო და დაჯილდოების ფონდს;
- ვ) დახმარების ფონდს;
- ზ) შემოწირულობის ფონდს.

29. ძირითადი ფონდი გამოიყენება საზოგადოების ორგანიზაციების დაწესებულებებისა და საწარმოების სრულყოფისა და გაფართოებისათვის.

30. სარეზერვო ფონდის დანიშნულებაა საზოგადოების საქმიანობის შედეგად მიღებული შესაძლო ზარალის დაფარვა. აღნიშნულ ფონდს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით შეიძლება მიეცეს სხვა დანიშნულება.

31. სპეციალური ფონდი გამოიყენება საზოგადოების ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის როგორც სესხის მისაღებად, ისე საჭიროების შემთხვევაში ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად (ისტორიისა და კულტურის ძეგლთა

მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით, ძეგლების აღდგენა-შემკეთების ახალი საწარმოების დაარსებისათვის და სხვ).

32. კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდი გამოიყენება საზოგადოების წევრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

33. საბრემიო და დაჯილდოების ფონდი გამოიყენება სამუშაო გეგმის შესრულებისას თანამშრომლებისათვის პრემიების გასაცემად, აქტიურად მომუშავე წევრებისა და მუშაობაში წარჩინებულთა დასაჯილდოებლად.

34. დახმარების ფონდი განკუთვნილია საზოგადოების წევრთა და თანამშრომელთა მატერიალური დახმარებისათვის და სტიმულირებისათვის.

35. შემოწირულობის ფონდი შედგება ინდივიდუალური პირების, წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობისა და სხვა ორგანიზაციებისაგან შემოწირული თანხებისაგან და ხმარდება ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღდგენა-გამაჯრებისა და პროპაგანდის საქმეს.

**V. საზოგადოების ლიკვიდაცია**

36. საზოგადოება წვევტს თავის საქმიანობას:

- ა) საზოგადოების ყრილობის დადგენილებით;
- ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

37. საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი ქონების გამოყენება ხდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

## 1. ЗАДАЧИ ОБЩЕСТВА

1. Общество охраны памятников истории и культуры Грузии является добровольной массовой организацией, ставящей целью активное участие в осуществлении мероприятий, намеченных партией и правительством в деле охраны и использования памятников истории и культуры.

2. Общество охраны памятников истории и культуры Грузии:

а) направляет выявление, учет, научное изучение, восстановление и охрану памятников истории и культуры на территории Грузинской ССР, памятников грузинской культуры, расположенных за пределами республики;

б) способствует формированию высокого чувства советского патриотизма среди населения; идейно-нравственному, интернациональному и эстетическому воспитанию трудящихся.

в) ведет широкую пропаганду охраны и использования памятников истории и культуры среди населения, которая воспитывает чувство любви к Родине, глубокое уважение к ее истории, труду и таланту народа;

г) осуществляет внедрение прогрессивных идей, научно-технических знаний и передового опыта в практику охраны и восстановления памятников истории и культуры;

д) привлекает широкие массы населения для активного и непосредственного участия в деле охраны памятников истории и культуры. К таким относятся: историко-революционные памятники, мемориалы боевой и трудовой

славы, братские могилы, памятники истории науки и техники, образцы гражданской и культовой архитектуры, археологии, изобразительного искусства, народного зодчества, древней письменности и литературы, народно-художественных изделий и др.

е) ведет широкую пропаганду охраны памятников истории и культуры и с этой целью издает научно-популярный сборник «Дзеглис мегобари», путеводители, буклеты, иллюстрированные фотоальбомы, открытки, ведет лекционную работу; устраивает выставки, конференции, сессии, семинары, встречи, дискуссии; использует прессу, радио, телевидение, кино и другие средства пропаганды;

ж) по заранее намеченному плану устраивает конкурсы с целью создания, выявления и пропагандирования лучших художественно-литературных произведений, фото и сувениров.

з) устанавливает научные и деловые отношения с Обществами Грузинской ССР, братских республик, научными учреждениями, молодежными организациями, творческими союзами, специалистами, а также с соответствующими Обществами, организациями и научными учреждениями за границей;

и) активно борется против религиозных пережитков, вредных традиций и обычаев, способствует внедрению новых советских традиций;

к) выявляет и делает предметом общественного обсуждения преступные действия отдельных граждан, организаций и учреждений, направленные в ущерб



делу охраны памятников истории и культуры. В необходимых случаях, в соответствии с существующим законодательством, обращается в соответствующие органы по вопросам прекращения работ, производимых с нарушениями законов, по вопросам ответственности руководителей предприятий и учреждений, отдельных граждан и возмещения ими причиненного ущерба;

л) вносит в законодательные органы предложения, направленные на охрану памятников истории и культуры;

м) устанавливает контроль над ходом и качеством выполнения работ по восстановлению памятников истории и культуры;

н) способствует шефству организаций и учреждений над памятниками и всячески помогает им в научном и практическом ведении шефской работы;

о) с целью реставрации, научного изучения и популяризации памятников истории и культуры, в соответствии с профилем определенным вышестоящими органами, согласно утвержденным планам и существующим правилам, открывает предприятия по изготовлению изделий народных промыслов и художественных сувениров;

п) финансирует и утверждает сметы на производимые Обществом строительные работы и финансовые планы;

р) открывает пункты реализации художественных сувенирных изделий и продукции народных промыслов.

## II. ПРАВА И ОБЯЗАННОСТИ ЧЛЕНОВ ОБЩЕСТВА.

3. Общество охраны памятников истории и культуры Грузии объединяет индивидуальных и коллективных членов.

4. Индивидуальным членом

Общества может стать каждый гражданин Грузинской Советской Социалистической Республики, достигнувший четырнадцатилетнего возраста, который согласен с Уставом Общества, желает принимать активное участие в деятельности Общества и добросовестно выполнять все задания и решения руководящих органов Общества.

5. Коллективными членами Общества могут быть общественные, кооперативные, хозяйственные и бюджетные организации, учреждения и предприятия республики, а также воинские части.

6. Индивидуальный член Общества имеет право:

а) принять участие во всей организационной, методической, практической и пропагандистской деятельности Общества;

б) принимать с правом решающего голоса участие во всех собраниях и совещаниях Общества;

в) избирать и быть избранным в исполнительные и ревизионные органы Общества.

7. Прием в члены Общества производится первичной организацией или Советом Общества охраны памятников истории и культуры.

8. Прием в коллективные члены Общества производится по постановлению Президиума республиканского Совета Общества или Президиумов низовых советов.

10. Член Общества выбывает из Общества согласно личному заявлению, а в случае нарушения Устава Общества исключается по постановлению Совета первичной организации Общества.

## III. ОРГАНЫ ОБЩЕСТВА.

II. Высшим органом Общества охраны памятников истории и культуры Грузинской ССР является съезд Общества, созываемый раз в пять лет.



12. В период между съездами работой Общества руководит избранный съездом Республиканский Совет Общества, который для ведения повседневной работы, избирает из своего состава Президиум, а Президиум выбирает председателя Президиума, его заместителей и ученого секретаря.

Заседания Республиканского Совета созываются не реже двух раз в год, а Президиума Совета — в два месяца раз.

13. В автономных республиках, в автономных областях, в городах и районах создаются избранные на конференциях Общества областные, городские и районные Советы, которые из своего состава избирают Президиум. Президиум избирает председателя и его заместителей.

Областные, городские, и районные Советы Общества Грузии избираются сроком на пять лет; их заседания созываются не реже одного раза в шесть месяцев.

14. Нормы представительства на Грузинский республиканский съезд Общества охраны памятников истории и культуры, а также на областные, городские и районные конференции устанавливает Президиум Республиканского Совета Общества.

15. Первичные организации Общества создаются при городских, районных, сельских, и поселковых исполкомах, в колхозах, совхозах, школах, высших учебных заведениях, учреждениях, предприятиях, фабриках, заводах.

Примечание: для создания первичной организации Общества необходимо, чтобы она объединяла не менее десяти членов.

16. Работой первичной организации Общества руководит Совет в составе 3—7 человек, избираемый общим собранием. Совет

избирает председателя и его заместителя.

17. Съезд Общества охраны памятников истории и культуры Грузинской ССР:

а) рассматривает и утверждает отчет работы Общества;

б) рассматривает и утверждает Устав Общества;

в) избирает Совет и ревизионную комиссию Общества; определяет их численность;

г) рассматривает и утверждает отчетный доклад ревизионной комиссии.

18. Областные, городские и районные конференции Общества, а также собрания первичных организаций:

а) рассматривают и утверждают отчетные доклады Совета и ревизионной комиссии;

б) избирают Совет и ревизионную комиссию Общества.

19. В компетенцию Республиканского Совета Общества охраны памятников истории и культуры, а также областных, городских, районных и низовых Советов входит:

а) руководство работой Общества и осуществление постановлений съездов, конференций и собраний первичных организаций;

б) разработка плана работы, составление и утверждение сметы на будущий год;

в) руководство всей административной, хозяйственной и финансовой деятельностью Общества;

г) созыв съезда, конференций и собраний первичных организаций Общества, подготовка докладов и отчетов.

20. Областные, городские и районные конференции, а также и общие собрания первичных организаций Грузинского Общества охраны памятников истории и культуры избирают ревизион-



ные комиссии в составе 3—9 человек.

Ревизионные комиссии контролируют соблюдение правлениями и Президиумом Устава Общества и выполнение принятых на съезде постановлений и рабочих планов; занимаются выяснением финансово - хозяйственной деятельности Общества, его предприятий и других учреждений; проводят документальные ревизии. Ревизионная комиссия является контрольным органом и в своей деятельности отчитывается перед Съездом Общества, областными, городскими, районными конференциями и собраниями первичных организаций.

Ревизионная комиссия имеет право потребовать у правления Президиума и его членов, у руководителей предприятий и учреждений Общества предоставления необходимых документов и объяснений. Для проведения отдельных ревизий ревизионные комиссии могут привлекать специалистов.

21. Вопросы, рассматриваемые съездом, конференциями и общими собраниями первичных организаций Общества охраны памятников истории и культуры, решаются большинством голосов.

22. Первичные организации Общества охраны памятников истории и культуры Грузинской ССР, районные, городские и областные Советы ежегодно представляют вышестоящему органу Общества отчет о своей деятельности.

23. Общество охраны памятников истории и культуры Грузинской ССР и его низовые организации пользуются всеми правами юридического лица, имеют круглую печать (с изображением эмблемы Общества и его наименованием) и штамп.

#### IV. СРЕДСТВА ОБЩЕСТВА

24. Средства Общества охраны памятников истории и культуры Грузинской ССР, необходимые для организационной и агитационно-пропагандистской работы, для содержания штатных работников, для восстановления памятников и выполнения других работ образуется из:

а) ежегодных членских взносов;

б) доходов, получаемых от реализации справочников, путеводителей, сувениров, памятных и других изданий;

в) денежных доходов, полученных от подсобных предприятий;

г) взносов индивидуальных лиц, которые для восстановления памятников ежегодно вносят на счет Общества определенную часть своего дохода, а также из средств, пожертвованных предприятиями, учреждениями, совхозами и другими организациями.

25. Установлены взносы Общества охраны памятников истории и культуры Грузинской ССР: для индивидуальных членов — вступительный взнос — 30 копеек, членский взнос — 60 копеек в год; для учащихся — вступительный взнос — 10 копеек, а членский взнос — 20 копеек в год; членский взнос для коллективных (юридических) членов — в год от 10 рублей и выше.

Примечание: члены Общества делают взносы один раз в год, взносы погашаются марками.

26. Членские взносы вносятся на счет районных или городских Советов Общества охраны памятников истории культуры Грузии, причем 20 процентов средств принадлежат соответствующим первичным организациям Общества. Районные и городские Советы перечисляют 50 процентов своего



общего дохода республиканскому Совету Общества.

**Примечание:** районные и городские Советы Общества охраны памятников истории и культуры Грузии, находящиеся на территории Абхазской АССР, Аджарской АССР, Юго-Осетинской АО и города Тбилиси, 80 процентов оставшейся суммы перечисляют соответствующим городским, областным и республиканским Советам, а городские и областные Советы перечисляют республиканскому Совету Общества 50 процентов средств, поступивших на их счет.

27. Порядок зачисления сумм отчислений соответствующих фондов Общества охраны памятников истории и культуры Грузии и использование средств по назначению, Президиум Общества определяет в соответствии с существующими правилами. Размер фондов определяет Президиум Общества охраны памятников истории и культуры Грузии.

28. Общество охраны памятников истории и культуры Грузии создает следующие фонды:

- а) основной фонд;
- б) резервный фонд;
- в) специальный фонд;
- г) культурно-бытовой фонд;
- д) премиально-наградной фонд;
- е) фонд помощи;
- ж) фонд пожертвований.

29. Основной фонд используется для совершенствования и расширения организаций, учреждений и предприятий Общества.

30. Назначение резервного фонда — покрытие убытка от деятельности Общества. По постановлению Президиума Общества охраны памятников истории и культуры Грузии этот фонд может быть использован и по другому назначению.

31. Специальный фонд используется как для представления кредита организациям, учреждениям и предприятиям Общества, так и (в случае необходимости) для оказания им финансовой помощи с целью улучшения ухода за памятниками истории и культуры, восстановления и ремонта памятников, открытия новых предприятий и др.

32. Культурно-бытовой фонд используется для улучшения культурно-бытового обслуживания членов Общества.

33. Премияльно-наградной фонд используется для выдачи премии сотрудникам за выполнение рабочего плана, для награждения активистов Общества и отличившихся в работе.

34. Фонд помощи предназначен для оказания материальной помощи и стимулирования членов и сотрудников Общества.

35. Фонд пожертвований образуется из средств, пожертвованных индивидуальными лицами, предприятиями, учреждениями, колхозами и другими организациями и используется для восстановления памятников истории и культуры, а также для пропагандистской деятельности.

## V. ЛИКВИДАЦИЯ ОБЩЕСТВА.

36. Общество прекращает свою деятельность:

а) по постановлению съезда Общества;

б) по распоряжению Совета Министров Грузинской ССР.

37. После ликвидации Общества все оставшееся имущество используется в соответствии со статьей 39 Гражданского кодекса Грузинской ССР.



## ისტორიულ-არქეოლოგიურ ძიებათა დღიურიდან

**ხომულის ციხე-გალავნის ლაპიდარულ წარწერა-საგალობელთა აღმოჩენა და მისი სამეცნიერო მნიშვნელობა!**

სოფელი ხომული ქ. ქუთაისის სანახებთან ერთად, ისტორიულად ძველი ბერძნული წყაროებით ესოდენ შექებული მოხერხის ქვეყნის შემადგენელი ადგილი იყო<sup>2</sup>; დღეს კი ეს სოფელი სახელგანთქმული კურორტის წყალტუბოს შემოგარენია და მის შემადგენელ გარეუბნად იქცა. კოლხურ-ზანური წარმომავლობის ამ ძველთაძველ სოფელს არაერთი ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლი შემორჩა, მათ შორის: პირველყოფილი ადამიანის ადგილსაცხოვრისი ხომულის თეთრი მღვიმის გამოქვაბულის სახით; ადრეფეოდალური ხანის ციხე-გალავანი, რომელიც მოგვიანებით განუახლებიათ და შეუმკიათ ლაპიდარული წარწერით და გვიანფეოდალური ხანის (XV ს) მოხატული ფრესკულ-წარწერიანი საყდარი, (ძველი ამ ხუთიოდ წლის წინ გადაურჩა დანგრევას; ჩვენივე დაინტერესებით და ძეგლთა დაცვის სახსრებით, მოხერხდა მისი აღდგენა, განახლება და დაცვა).

1974—1977 წლებში ხომულის თეთრი მღვიმის გამოქვაბულში, გათხრების ჩატარებით დასაბამი მიეცა წყალტუბოს მიდამოთა არქეოლოგიურ შესწავლას. გათხრები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ან განსვენებულ პროფ. ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით, რომელშიც ამ სტრიქონების ავტორიც მონაწილეობდა. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ხომულის თეთრი მღვიმის გამოქვაბულში ენეოლითის კულტურის ამსახველ ზოგიერთ ძეგლთან ერთად ღრმა კულტურულ ფენებს პალეოლითის ეპოქის დამახასიათებელი სამეურნეო და საოჯახო ქვისა და კაჟის იარაღებიც შემონახავს. ამ ახალი ნივთიერი მასალეობით ამეცყველდნენ ძალზე შორეულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანთა ჯგუფები თავიანთი საყოფაცხოვრებო რეალებით, მაშინდელი ფლორით, ფაუნით, სამეურნეო და საბრძოლო იარაღებით.

გაირკვა და ნათლად დადგინდა ესოდენ შორეული საწყისებიდან მომდინარე სოფ. ხომულის წინაისტორიული სახე და პროფილი.

თეთრი მღვიმის არქეოლოგიური გათხრები დაიწინანსა ნაქრძლების რესპუბლიკურმა სამმართველომ, ისტორიის ინსტიტუტისა და წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს, პირადად ჩენი (როგორც ამ საბჭოს თავმჯდომარის) მოთხოვნით. პირველსავე 1974 წელს ჩატარებულმა გათხრითმა სამუშაოებმა სასურველი შედეგი მოგვცა, მოკლე ინფორმაციები თეთრი მღვიმის გათხრების შესახებ იბეჭდებოდა როგორც ჩაიონულ, ასევე რესპუბლიკურ გაზეთებში. მაგ. წყალტუბოს გაზეთ „დროშის“ 1974 წლის 28 ნოემბრის და 3 დეკემბრის ნომრებში დაიბეჭდა ავთ. იოსელიანის წერილები (სერიებათ) სათაურით: „თეთრი მღვიმის საიდუმლოებანი“. მოგვიანებით 1976 წლის 25 მაისს გაზ. „კომუ-



ნისტის" № 121-ში დაიბეჭდა არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის პროფ. ვლადიმერ ლანდაძის და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის კ. კალანდაძის წერილი — „ქვეყნის ისტორიაში ათი ძეგლი“; მასალები გათხრების მიმდინარეობასა და მის შედეგებზე ქვეყნის ისტორიაში მისი არქეოლოგიური ექსპედიციის ყოველწლიურ მოკლე სამეცნიერო ანგარიშებში.

ხოშელის ციხის ლაპიდარული წარწერის მოკლევიცა დ. ამ წარწერის მნიშვნელობის გამო დაიბეჭდა ავთ. იოსელიანის წერილებში (წყალტუბოს რიონულ გაზ. „დროშაში“, 1975 წ. 15 ნომბრისა) „საინტერესო მეცნიერული აღმოჩენა“ (და 1976 წლის 5 აგვისტოს ნომერში) — „ისევე ხოშელის ციხის ლაპიდარული წარწერის გამო“; (1975 წ. 2 დეკემბერს „ზარია ვოსტოკაში სათაურით) «Интересная находка» ხოშელის ციხის ლაპიდარული წარწერის შესახებ. (1977 წლის 5 მარტის გაზ. „კომუნისტს“ № 54) გამოქვეყნდა ჩვენი წერილი — „ქვეზე დაწერილი ისტორია“. ასევე 1975 წლის 30 დეკემბერს „კურთხეიანი პრადეში“ (იხ. № 153) დაიბეჭდა ჩვენი წერილი, — სათაურით: «Раскрываются тайны белой нещеры».

ამ წერილში გვინდა შევჩერდეთ ხოშელის ციხე-გალაენის ლაპიდარულ ნარწერაზე, რომლის შესახებ დღემდე ჩვენი მხოლოდ საგაზეთო წერილები დაიბეჭდა.

აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში ლაპიდარული ნარწერები ჩვენამდე ნაკლებადაა მოღწეული. ამგვარი ნარწერებით ჩვეულებრივ მხოლოდ ეკლესია-მონასტრებია მოკაზმული; ლაპიდარულ ნარწერებს ძალზე იშვიათად ვხვდებით ციხე-გალაენებზე ლექსად. სადაც მისი მშენებელ-განმაახლებელია მოხსენებული. სწორედ ამ იშვიათობას წარმოადგენს და განეკუთვნება ჩვენთვის საინტერესო ხოშელის ციხის ნარწერა.

მეცნიერული თვალსაზრისით ხოშელის ციხის ნარწერას, ისე როგორც სხვა მსგავს ძეგლთა ლაპიდარულ ნარწერას, დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს როგორც ამ მხარის, ასევე მთლიანად საქართველოს ისტორიის გარკვეული პერიოდის შესწავლისათვის.<sup>3</sup>

ლაპიდარულ ნარწერიანი ხოშელის ციხე-გალაენი მრავალმხრივ საინტერესო ნაგებობად გვევლინება. იგი 4 ბურჯიანია. მოგვიანებით ერთ-ერთ ამ ძველ ბურჯზე, რომელიც ღრმა და ციცაბო-კლდოვან კარსტულ გამოქვაბულს ებჯინება 12 მეტრიანი მაღლა აზიდული მოხდენილი კოშკი დაუშენებიათ. იგი თავის მხრივ ციხესთან ორგანულად დაკავშირებულ სტრატეგიულ ღრმასართულოვან ბუნებრივ სიმაგრედ წარმოგვიდგება, რომლის ფსკერზეც ანკარა ცივი წყლის ნაკადი ამოჩუჩჩუხებდა და როგორც ციხეს, ისევე სოფელს წყლით უზრუნველყოფდა. ამ კოშკიდან დასავლეთით გალაენის კედელში დატანებულ საყარაულო პუნქტის კარიბჭეზე დაცულია ლაპიდარული ნარწერა.

ციხის ადვილად მისადგომი მხარეები გარშემორტყმულია მთლიანად 2,5—3 მეტრის სისქის კირქვა-დულაბით ნაგები, გასალკლდევებული 4 მეტრამდე სიმაღლის ყრუ კედლებით, რომლებიც მძლავრ ბურჯებთან ერთად კირქვის თლილი დულაბ-ჩასხმული ქვების მტკიცე ფენით ყოფილა პერანგჩაცმული. ციხე გარესამყაროს საიდუმლო გამოქვაბულს ერთადერთი კლდეკარით უკავშირდებოდა. ციხის სამხრეთის კედელში დატანებულ მიუვალ სათვალთვალ კარიბჭეს შემოუნახავს ჩვენთვის საინტერესო ნარწერა. ნარწერა რუსთველური შაირით — თექვსმეტმარცვლოვანი



ლექსითაა შესრულებული, რომელსაც ასევე გარკვეული მხატვრული მნიშვნელობა შეეძლება. მისი მნიშვნელობა მოეპოვება; აი ამ წარწერის მთლიანი ტექსტი.

ქ. ლ(მერ)თო, ცისა და ქვეყნის აღმაშენებლო, აღმაშენებ(ი)ნე ციხე ხომლის(ა) მე, ღოღაბერიძე ზალს და გიორგის.

ქ. ლ(მრ)თით აღვაშენე ეს ციხე თვთ უმაგ(რ)ესი კლდისაგ(ან). არ ვარგა მაზედ მოდგომა, მე მაქ(უს) მტკიცედ ლ(მრ)თისაგან.

სისკე გასინჯე, სიმაგრე, ხომ ვ(ე)რ დამამშვე წყლისაგ(ან).

და მებრძოლი, ცუდად მაშურობი ვერ მო(პ)რჩე სიკვდილისაგ(ან).

(ც)იხე ვაშენე ჭომული მე, ზ(ღ)უდე — კარ უ) პოველი.

ლ(მერ)თო, გვედრი ვარ მომხედენ, შენებას თქვენგან მოველი.

უთქვენოდ არ აეგების — ციკე არ საკლ(ი) ყოველი.

და მახმარე შვიდობაშიგან, ვარ ფარმანისა მთხოველი.

დედნისეულ სტრიქონთა განლაგება, განკვეთილობისა და ქარაგმების ნიშნებით წარწერაზე ასეა წარმოდგენილი:

1. ქ.: ღრთო: ცისადა: ქვეყნის: აღმაშენე
2. ბელო: აღმაშენე(ი)ნ ციხე: ხომლის.
3. მე: ღოღაბერიძე: ზალს: და: გიორგის.
4. ქ.: ლ თით: აღვაშენე: ეს: ციხე: თვთ: უმაგ ესი: კლდისაგ(ან).
5. არ: ვარგა: მაზედ: მოდგომა: მე: მაქ ( . . . ) ედ ლ თისაგან
6. სისკე: გასინჯე: სიმაგრე: ხომ: ვ(ე) რ დამამშვე: წყლისაგ(ან).
7. და მებრძოლი: ც უ დად: მაშ(უ)რობი ვერ: მოპრჩე სიკვდილისაგ(ან).
8. ციხე: ვაშენე ხომული: მე ზ . . . . . პოველი
9. ღთო: გვედრივარ მომხედენ შენებას თქვენგან მოველი
10. უთქვენოდ: არ აეგების ციკე არ საკლ ყოველი Sic
11. და მახმარე: მშვიდობაშიგან: ვარ: ფარმანისა: მთხოველი.

ხომლის ციხის 11 სტრიქონიანი მხედრული წარწერის დასაწყისი სამი სტრიქონი ღვთის ვედრებას ეხება და ციხის მშენებელ-განმარებელ-ლად — „ღოღაბერიძე ზალს და გიორგის“ იხსენიებს. დანარჩენი რვა სტრიქონი კი ციხის ქებასა და მშვიდობაში მის გამოყენებაზე ლაღადებს. ესაა რუსთველური შაირით დაწერილი ლექსი, რომელსაც ყოველი სიტყვის შემდეგ სამ-სამი, (ზოგჯერ ორ-ორი) წერტილი უზის.

წარწერა გაკეთებულია ორი თანაბარი ზომის კირქვის ფილაზე; ფილის ზომებია 60X42,5 სმ. ასოთა სიმაღლე 3—3,5 სმ; ფილა ადგილ-ადგილ გადარეცხილია და წარწერის წაკითხვა ძნელდება. 10 სტრიქონი წარწერისა, ერთ ქვაზეა მოთავსებული, ხოლო 1 უკანასკნელი სტრიქონი კი მეორე ფილაზე გადადის. მეორე ფილაზე უწარწეროდ დატოვებული ადგილი 10 სტრიქონის ტევადობით გვაფიქრებინებს, რომ ლექსი ბევრად დიდი უნდა ყოფილიყო. ქვაზე ლექსის დანარჩენი ნაწილის ამოკვეთა სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. ადგილ-ადგილ სიტყვები დაქარაგმებულია და ტექსტის ზოგი ადგილის წაკითხვა დაზიანების გამო ძნელდება. წარწერა უთარილოა, მაგრამ პალეოგრაფიულად და ისტორიულ წყაროთა მონაცემებით მისი დათარიღება მაინც ხერხდება.

ხომლის ციხის ლაპიდარული წარწერის უკანასკნელი სტრიქონის



ხომლის ციხის მთავარი კოშკი. ზედი  
სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

Главная башня крепости Хому-  
ли. Вид с юго-востока.

დაბოლოება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისაგანა“ ნასესხები და უცვლელადაა შემონახული წარწერაში. მაგ. „ფრიდონისაგან ნესტან დარეჯანის ამბის მბობა ოდეს ტარიელს უამბო“ (31 სტროფი), სადაც ვკითხულობთ:

„მაშა მე მისსა ამბავსა რადგან აღარას მოველი,  
ველარ ვიქნები, გამიშვი, ვარ ფარმანისა მთხოველი“. მეორედ „ფარმ-



ბომელის ციხის ლაპიდარული წარწე-  
რა.

Лалидарная надпись крепости  
Хомули.

ანი“ გვხვდება „ტარიელისაგან ქვაბსავე მისვლა მეორედ და საქურქლედ  
ნახვა“. (26 სტროფი), სადაც ვკითხულობთ:

„გკადრო მიზეზი მისისა თქვენს წინა ვერ მოტანისა.



ვიაჯი რასმე, ან მმართველს მოთხოვა მე ფარმანისა“.

სოფ. ხომულში ციხეზე შემორჩენილი ლაპიდარული წარწერის ვაჭრ და ამავე სოფლის ეკლესიის კედლის მხატვრობის ფრაგმენტებიდან: [წარწერა] გადარჩენილია ფრესკული წარწერები, რომელიც XV—XVI საუკუნით თარიღდება. მაგ. კედელზე გამოხატულია ეკლესიის მშენებელ გლხთა პორტრეტები; ერთ-ერთს მიწერილი აქვს გვარი: „ჩაკვეტაძე“ (მრგვლოვანით). არის სხვა წარწერებიც და კედლის მოხატულობის მონუმენტური მხატვრობის ფრაგმენტები, რომელიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. (იხ. ა. იოსელიანის, ხომულის ისტორიულ ძეგლთა აღდგენა-გამაგრება; გაზ. „დროშა“ 1977 წ. 20 აგვისტო).

**ზაალ და გიორგი ლოლაბერიძეთა ზეობა-ვინაობა.**

ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ ციხის მშენებელ-განმაახლებელი ზაალ ლოლაბერიძე იმერეთის სამეფოს XVII საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. ზაალი პირველად იხსენიება იერუსალიმის ქართული კოლონიის ალაპთა წიგნში. „ალაპი ლოლაბერიძისათვის, გამიჩენია ნიკიფორე ჩოლოყაშვილი ჯვარის მამას“; აქვე ჩვენ ვკითხულობთ: „თვესა დეკემბერს კდ გაუჩინეთ ჩვენ ჯუარის მამამან ნიკიფორემ და სრულებით ერთობლითა ძმათა, ალაპი სულკურთხეულსა ზაალ ლოლაბერიძეს და ვინც დაკლოს, ღმერთმან იგი დაკლოს წყალობისა ღმრთისაგან და რისსხვამცა მამა, ძედ და სული წმინდა ამინ“.<sup>4</sup> ამ ცნობის მიხედვითაც ზაალის ალაპი 1643—1649 წლებით თარიღდება. (ცნობილია, რომ ალაპი შეეძლოთ სიცოცხლეშიც დაენიშნათ). ზაალ ლოლაბერიძე ქონებრივად შეძლებული პირი ყოფილა. მას. გარდა იმისა, რომ განუახლებია ხომულის ციხე, ასევე გაუღია საჭირო თანხა და შეუწირავს იერუსალიმის საყდრისათვის ალაპის შესასრულებლად.

ხომულის ციხის განმაახლებელ-მშენებელი ზაალ ლოლაბერიძე იმერეთის სამეფოს წარჩინებული პირია; იგი სამეფო დარბაზის წევრი ყოფილა, როგორც მეფე ალექსანდრე III, ასევე მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძეს მეფობის პერიოდშიც. აღნიშნულს ადასტურებს რუსეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობის ორი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომლებშიც იმერეთის სამეფო დარბაზის წევრ სხვა დიდებულებთან ერთად მოხსენებულია ზაალ ლოლაბერიძე.

ხომულის ციხის განმაახლებელი და ციხის ლაპიდარულ წარწერაში მოხსენებული ზაალ ლოლაბერიძე, რომელმაც, საფიქრებელია, შეთხზა ლექსად ეს წარწერა, იმერეთის სამეფოს სხვა დიდებულებთან ერთად მონაწილეობდა ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ 1651 წელს მოწვეულ სამეფო დარბაზის იმ სხდომაზე, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის მეფის ერთგულების ფიცის დადების შესახებ, აგრეთვე ბაგრატ ალექსანდრეს ძეს მიერ 1669 წლის 6 დეკემბრის თარიღით რუსეთის ერთგულების ფიცის წიგნის მიღება-განახლებისა და ალექსისადმი ვაგზავნის საქმეში.

1651 წ. იმერეთის სამეფო დარბაზის წევრთა პირველ სიაში, სადაც



ხომელის ციხის საყარაულო პუნქტი.  
ლაიპდარულწარწერიანი სამხრეთის მიუ-  
ვალი კედლის ზედი.

Караульный пункт крепости Хо-  
мули. Вид южной, неприступной  
стены с лапидарной надписью.



აღრიცხულია გავლენიანი საერო და სასულიერო პირნი, ზაალთან ერთად დასახელებულია ასევე ლოლაბერიძე ფიცია. 1669 წ. მეორე სიაში ახვეწა ლოლაბერიძენია დასახელებული, — „ბაიარი ლოლაბერიძე ბეჟან და ბაიარი ლოლაბერიძე ზაალი“.<sup>5</sup>

ამრიგად ზაალ ლოლაბერიძე, რომელმაც განაახლა ხომულის ციხე და ლაიპიდარული წარწერით შეამკო იგი, ამ ისტორიულ საბუთებში ორგზისაა (1651 წ. და 1669 წ.) მოხსენებული: ფიცია ლოლაბერიძის შესახებ ცნობებს ჩვენ სხვაგან ვერ შევხვდით; ხოლო რაც შეეხება „ბაიარ ლოლაბერიძე ბეჟანს“, იმერეთის ისტორიაში ეს გვარ-სახელი კარგადაა ცნობილი; მაგ. ბეჟანს იცნობს და ასახელებს ვახუშტი; ვიცით, რომ ვამეყ დადინი და მეფე ვახტანგ V, ალექსანდრე მეფის გარდაცვალების (1660 წ.) შემდეგ აპირებდნენ დამოყვრებას. დადიანმა თავისი ქალი ვახტანგის ვაჟს არჩილს აღუთქვა. მაგრამ დადიანმა მალე პირობა დაარღვია და არჩილისათვის დაინდული ქალი ბეჟან ლოლაბერიძეს შერთო. (ვახუშტი).

ვახტანგ მეფემ 1661 წ. შური იძია და „ზემომხარელთა იმერთა“ მოაკვლევინა ბეჟან ლოლაბერიძე.

ბეჟან ლოლაბერიძე ამ დროს იმერეთის სამეფო კარზე ისეთივე გავლენით სარგებლობდა როგორითაც ხომულის ციხის განმამახლებელი ზაალ ლოლაბერიძე.

ამავე პერიოდში ცხოვრობდა მოკლული ბეჟანის სეხნია და მისივე მოგვარე — „ბაიარი“ ბეჟან ლოლაბერიძე. 1669 წლის წყაროებში ზაალი და ბეჟანი ორთავე ბაიარებად იწოდებიან. ბაგრატი იმერთა მეფის 1669 წლის სიაში დასახელებული ბაიარები ორ ჯგუფადაა დაყოფილი — „დიდ ბაიარებად“ და „ბაიარებად“; ზაალ ლოლაბერიძე და ბეჟან ლოლაბერიძე ამ უკანასკნელთა რიგშია დასახელებული. ამრიგად, ზაალი, ისე როგორც ბეჟანი, თავადად ანუ „დიდ ბაიარად“ არაა წოდებული, ისინი გავლენიან და ძლიერ აზნაურებად გვევლინებიან. ძველად ქვეყანას ხომ აზნაურები მართავდნენ? ფაქტია, რომ ზაალი სამეფოს წარჩინებულ პირთა, ანუ მეორე კატეგორიის „ბაიართა“ სიაში არის დასახელებული (1651 წ. სიის რიგით 51, ხოლო 1669 წ. სიაში რიგით 39).<sup>6</sup>

ირკვევა, რომ მეფე ალექსანდრე III მიერ რუსეთის ერთგულებაზე 1651 წელს დადებული ფიცის წიგნის მიღებისა და რუსეთის მეფესთან გაგზავნის გამო მოწვეულ დარბაზის სხდომას, სამეფოს ყველა უფლებამოსილი პირი არ დასწრებია; მაგ. ამ სიაში არაა დასახელებული ისეთი თავადები, როგორც იყვნენ მიქელაძე, გელოვანი და სხვ. (იხ. დასახელებული საბუთი).

ლოლაბერიძენი, მიუხედავად იმისა, რომ მეფის ესოდენ დიდი ნდობით სარგებლობდნენ და ეჭირათ საპატიო სახელონი, თავადობის წოდებას არ უნდა ფლობდნენ. მართალია, ლევან ლოლაბერიძეს 1819 წელს დავა აუტეხია, თითქოსდა რუს მოხელეს სიგელის გადანერაში შეცდომა მოსვლია, — „თავადობა მოეშალათ, აზნაურობა ჩაენერათ, მთელმა იმერეთმა იცის, რომ მე თავადი ვარო“,<sup>7</sup> მაგრამ ეს ასე არ უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ხომულის ციხის წარწერაში მოხსენებული გიორგი ლოლაბერიძის პიროვნებას, ისტორიულ წყაროებს მის შესახებ ცნობები არ შე-





მოუნახავს. სავარაუდოა გიორგი ზაალის შვილი ან ძმა იყო, რომელიც იმერეთის სამეფოს მშფოთვარე კარზე სახელოვანი ზაალის გვარდამცველების შემდეგ ვერ შეძლო მემკვიდრეობით სამოხელეო უფლებამოსილების შენარჩუნება.

ლოლაბერიძეთა გვარი პირველად იხსენიება IX ს. ვანის მარმარილოს ქანდაკების წარწერაში ამის შემდეგ ლოლაბერიძეთა გვარის წარმომადგენელს ვხვდებით 1413—1444 წწ. სასისხლო სიგელში, სადაც იხსენიება „ხაფისანდრო ლოლაბე“... (იხ. ჟორდანიას ქრონიკები II, გვ. 234. საქ. სიძვ. II, გვ. 37).

მოგვიანებით 1486—1488 წწ. ვხვდებით მეაბჯრეთუხუცეს დავით ლოლაბერიძეს (იხ. საისტ. მოამბე, წ. II, 1924, გვ. 21). 1540-იან წლებში კი იხსენიება ციხისთავი ლოლაბერიძე.

ლოლაბერიძეთა სამფლობელო ყმა-მამული გუბიწყლის გაღმა ლანირ-ქუტირისა და ჯიხაიშის სანახებში მდებარეობდა. ასევე ხონს ხონრო ლოლაბერიძეს ჰქონია — „სასახლე და ადგილმამული“, რომელიც 1587 წელს მეფე გიორგი II-მ „დავით წულუკიძეს უბოძა“. (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I, გვ. 18—19 № 4 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 123) ლოლაბერიძეთა ერთი შტო კი სოფ. ხომულშიც მკვიდრდება და ძლიერდება.

ირკვევა რომ XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე ლოლაბერიძენი სამეფო ხელისუფლების წყალობას მოკლებულნი არიან და დევნასაც კი განიცდიან მეფის ორგულ დადიანებთან გაერთგულებისა გამო. მაგრამ XVII ს-ის 30-იან წლებიდან ვითარება იცვლება. ლოლაბერიძენი იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ს კარზე კვლავ წინაურდებიან მაგ. ხომულის ციხის განმაახლებელნი, ზაალ და გიორგი ლოლაბერიძენი და სხვ. ამას ნათლად ადასტურებს ლაპიდარული წარწერა.

XVII ს. 70-იან წლებიდან ლოლაბერიძეთა საგვარეულოს როლი იმერეთის სამეფო პოლიტიკურ ცხოვრებაში კნინდება. XVII ს. ლოლაბერიძენი უმეტეს ნილად საეკლესიო სფეროში მოღვაწეობენ. დადიანის სამთავროში მაგ. 1701 წ. სვიმონ ლოლაბერიძე ცაიშელ ეპისკოპოსად იხსენიება. (იხ. საქ. სიძვ. I, გვ. 46), ხოლო 1714 წ. ევდომონ ლოლაბერიძე ჭყონდიდელ მიტროპოლიტად (იქვე, გვ. 113—114) ინიშნება. 1750 წელს ხელმწიფის კარის მღვდელად და წმინდა მონამეთის წინამძღვრად“ სილიბისტრო ლოლაბერიძე გვევლინება და სხვ. იხ. დას. საქ. საეკლესიო საბ. II, გვ. 29—31. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები).

ამასთანავე, საგულისხმოა და ყურადსაღები ადგილობრივი ხალხური ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ადრე ხომულის ციხეს „გოგიას ციხეს“ უწოდებდნენ. ამ სახელწოდებითვეა შეტანილი ძეგლთა დაცვას დაქვემდებარებული ხომულის ციხე ისტორიულ ძეგლთა აღრიცხვის რეგისტრში, რომელიც პირველად გამოიცა.

ყოველივე აქ აღნიშნული საფუძველს იძლევა დასკვნებისათვის: 1. ხომულის ძველთა-ძველი (VI—VII სს). ციხე-გალავნის განახლება (რეკონსტრუქცია) და ციხეზე ლაპიდარული წარწერის ამოკვეთა განხორციელდა ერთდროულად, კერძოდ XVII ს-ში.



2. ხომულის ციხე განაახლეს და ლაპიდარული წარწერით ზაალ და გიორგი ლოლაბერიძეებმა. მხედრული ლაპიდარული წარწერის ავტორი სკამაოდ განათლებული კაცი — თვით ზაალ ლოლაბერიძე უნდა იყოს;

3. ქრონოლოგიურად ხომულის ციხის განახლება და ჩვენთვის უკვე ცნობილი წარწერით ციხის შემკობა, ბუნებრივია, ზაალ ლოლაბერიძის ზეობის წლებში უნდა განხორციელებულიყო. ჩვენს მიერ მოძიებული ისტორიული წყაროებით ზაალის ზეობა 1643—1669 წლებით თარიღდება. 1643 წელს იგი იმდენად დიდი მდგომარეობისა და ქონების პატრონია, რომ იერუსალიმის ქართულ მონასტერში ალაპის განჩინებას იღებს სკამაოდ მოზრდილი თანხების გაღებით. ყოველივე ეს საბუთია იმისა, რომ ხომულის ციხის განახლება და მისი ლაპიდარული წარწერა ალექსანდრე III-ის მეფობის (1640-იანი) წლებით ანუ XVII ს. პირველი ნახევრის მიჯნით დავათარილოთ.

1 მოხსენება სიახლოვით საზოგადოების 1976 წლის 29 მარტის საქარო სხდომას.

2 მოხერხისა შესახებ იხ. გეორგიკა, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1934 გვ. 72—155. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა: თვით სოფლის სახელწოდება — ხომული, ხეაშლი, ძირი „ხეაშ“, კი ზანური წარმოშობის უნდა იყოს, როგორც ეს სწორადაა შენიშნული. (იხ. ჭეთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. მეზუეუმის მასალები, თბ., 1968, გვ. 29).

3 ვ. სილოგაევა, ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი (II დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკ. XI-XII სს) მეცნიერება, თბ., 1980, მისივე ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (შესწავლის შედეგები და ამოცანები), დაიბეჭდა მაკენე (იხ. ისტორიის სერიის I, 1975, გვ. 186).

4 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, დაიბეჭდა თბილისის ა. ჰუსკინის სახ. პედინსტიტუტის შრომებში, თბ., 1962, წიგნი 10, გვ. 81-24 (M 23, ტაბულა XX. ალაპის განჩინებისას მიუთითებენ ჩვეულებრივ, თუ რა შესწირა, მაგალითად 44 M—24 წირვა და ალაპი სარგის ბოკოს ძის, მოგვივიდა ორასორმოცი და თოთხმეტი ფლორი) I იხ. გვ. 83.

5 Белокуров, Материалы для русск. истории, М., 1888 г.

6 М. Полиевктов, Крестоцеловальная имеретинского царя Александра III, запись 9 октября 1951; М. Броссе, Переписка груз. царей с российскими государями от 1639 г.

7. საისტორიო მოამბე, თბ., 1950, ტ. 5, გვ. 196.

მინიმილ ცენტრამ, დირექტორი დათუნაშვილი, თამარ ნემსაძე

### ქაგლის ალდგენა-გამაგრების ერთი მაგალითი

ხოსპიოს დარბაზული ეკლესია X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია. იგი წარმოადგენს თლილი ქვის კვადრებით ნაშენ ნაგებობას ნახევარწრიული კამაროვანი გადახურვით და სამი საბჯენი თალით, რომლის ზომებია გვეგმაში 6,5X12 მ, სიმაღლე კი კამარის ქუსლამდე 6,2 მ. შეადგენს.

დროთა განმავლობაში ძეგლი საგრძნობლად დაზიანებულია: ჩაქცეულა კამაროვანი გადახურვა, ჩრდილოეთის კედელი გადახრილა პირვანდელ, ვერტიკალურ მდგომარეობიდან, რის შედეგადაც დასავლეთის კედელთან შეუღლების კვანძში გაჩენილა 20 სმ-ის სივანის ნაპრაღი.

შემომწებამ ნათელყო, რომ ფუძის ჯდენას არა აქვს ადგილი. შესაძლებელია დეფორმაციები შედეგი იყოს სეისმური ბიძგების, მითუმეტეს, რომ ნაგებობას არ გააჩნდა საკმარისი სეისმომდეგობა.

ძეგლისათვის პირვანდელი არქიტექტურული იერის დასაბრუნებლად საჭირო შეიქმნა გადახრილი კედლის ვერტიკალურ მდგომარეობაში მოყვანა, კამაროვანი გადახურვის ალდგენა და ნაგებობის მთელ კონტურზე ანტისეისმური სარტყლით შეკვრა.


აქ შევხებით მსოლოდ კედლის დაუშლელად, მის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის საკითხს. რადგანაც კამაროვანი გადახურვის ალდგენა და სარტყლის მოწყობა ჩვეულებრივ სარესტავრაციო სამუშაოებს მიეკუთვნება.

ნათელია, რომ გადახრილი კედლის დაუშლელად ალდგენა შესაძლებელია საძირკვლის ფუძის მიმართ ან თვით კედლის გარკვეულ სიმაღლეზე მობრუნების საშუალებით. პირველი ვარიანტი ჩვენს მიერ უარყოფილი იქნა. რადგანაც საცდელმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ საძირკვლის ფუძის მიმართ მობრუნება მეტად შრომატევადია და რთული მექანიზმების გამოყენებასთან არის დაკავშირებული.


გადაწყდა კედლის მობრუნება იატაკის დონიდან 1,2 მ სიმაღლეზე. ამისათვის საჭირო იყო დახრილი კედლის დახრის საწინააღმდეგო მხარეს კედელში ღარის შექმნა მის მთელ სიგრძეზე და კედლის მოჭიმვა პარალელურ საღ კედელზე.

შედეგა სათანადო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ღარის შექმნას ერთი რიგი საპირე ქვის მოხსნით და შევსების ნაწილობრივ ჩამოშლით, ორივე პარალელური კედლის გარე სიბრტყეებზე ლითონის დგარების მოწყობას სამ რიგად, ჭიმების გატარებას იმავე კედლების ორ დონეში და დგარებში დატოვებულ ხერხელებში. (ნახაზი I, II).

ნახაზი I.  
Чертеж I



ნახაზი II.  
Чертеж II



პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე სამუშაოს წარმოებისათვის საჭირო ხარაჩოების მოწყობას, დახრილი კედლის დროებითი დაჭერის ღონისძიებებს და კედლის სიბრტყეების დაზიანების ავიდან ასაცილებლად დგარებსა და კედელს შორის ხის სადებების ჩატანებას და სხვას.


სარესტავრაციო სამუშაოების შესრულება დაევალა სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების უბნის უფროსს ამხ. შ. ოშიაძეს.

პროექტის შესაბამისად დამზადდა და აიწყო ლითონის კონსტრუქციები, მოეწყო ხარაჩოები, დიდი სიფრთხილით მოიხსნა საპირე ქვები, გაიხვრიტა კედლები ჭიშკაბის გასაყრელად და საერთოდ გულდასმით შესრულდა სხვა საპროექტო მითითებები.

დანიშნული თანამიმდევრობით, ქანჩების საშუალებით დაიწყო ჭიშკაბის დაჭიმვა და სულ მოკლე დროის განმავლობაში კედელი დაუბრუნდა პირვანდელ ვერტიკალურ მდგომარეობას ისე, რომ პრაქტიკულად დაიხუ-



ქართული  
ენების ცენტრი





ზოხო. ზედი ხაშრეთ-დახელოდან.

Хосно. Вид с юго-запада.

ზოხო. ზნაი დახელოს მხრიდან.

Хосно. Трещина с западной  
стороны.





ზიხოს რეზერვუარის შენობა.

Хозша. После реставрации.

რა 20 სმ სიგანის ნაპრალი, თვალთ შუემჩნეველი გახდა კედლის გარდატეხა ფასადზე და როგორც მოსალოდნელი იყო მობრუნების სიბრტყეში გაჩნდა პორიზონტალური ბზარი უნიშვნელო გახსნიო.

ამგვარად, უმარტივესი კონსტრუქციული სქემით ყოველგვარი მექანიზმების გამოყენების გარეშე დახრილი კედელი დაუშლელად დაუბრუნდა პირვანდელ მდგომარეობას.

შემდგომში, ნაგებობის მთელ კონტურზე კამარის ქუსლის დონეში მოეწყო რკინა-ბეტონის სატყეელი, რომელიც კედელს დაუკავშირდა ბუდეებში ჩასმული ლითონის ხისტი ღეროებით, ინექციით შეივსო ყველა ბზარი, აღდგა ნანილობრივ ჩამოშლილი შევსება, თავის ადგილს დაუბრუნდა მოხსნილი საპირე ქვები, გადაყვანილ იქნა ქვის კამარა, მოეწყო ორქანობიანი სახურავი ქვის ფილებით (ლორფინებით), რითაც ძეგლს დაუბრუნდა თავდაპირველი არქიტექტურული იერი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია უბნის უფროსის შ. ომიაძის პასუხისმგებლობის გრძნობა, გულისყური, პროექტით დანიშნული ღონისძიებების განუხრელად შესრულება და მოსაზრებულობა, რომელიც მან გამოიჩინა საერთოდ სარესტავრაციო სამუშაოების წარმოების პროცესში და კონკრეტულად გადახრილი კედლის აღდგენის საქმეში. სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა შედარებით მოკლე დროში და მაღალხარისხოვნად.

აღწერილი ძეგლის აღდგენის მაგალითი წარმოადგენს დამპროექტებელ-რესტავრატორებისა და მშენებლების ურთიერთშემოქმედებით საქმიანობის შედეგს.



### პანამინის „ქველმოქმედის“ ეკლესიის ბიოგრაფიული გამოყვანილი მონაწილეები და მათი წინააღმდეგ ბრძოლა

ისტორიული ძეგლების მნიშვნელობა განუსაზღვრელად დიდია. ისინი ასახავენ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სამშობლოს ისტორიას, ეკლესიის ცნობებს უძველესი წინაპრების ცხოვრების შესახებ, გვაძლევს თავიანთი მხატვრული სრულქმნილობით და ბუნებასთან ბრწყინვალე შერწყმით. უდიდესია მათი როლი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკეთებით აღზრდაში (1).

ჩვენს ქვეყანაში ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა ბოლო წლებში აქტიურ პრობლემად გადაიქცა. სსრკ 1976—80 წწ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებში, რომელიც დამტკიცებულია სკკპ XXV ყრილობის მიერ, აღნიშნულია — „გავაუმჯობესოთ მუზეუმების მუშაობა, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა და პროპაგანდა“.

1976 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის შესახებ. ჩამოყალიბდა მათი მნიშვნელობა და საზოგადოებრივი ღირსების ახალი, უფრო ფართო წარმოდგენა (2).

1978 წლის 24 თებერვალს საქართველოს მინისტრთა საბჭომ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 25 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. რომლის საფუძველზე შექმნილია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო და მისი სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანება.

მთავარი სამმართველო პირველყოფილისა საჭიროდ მიიჩნევს ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლინებას და აღრიცხვას, ძეგლების ზონების დადგენას, მათდამი სახელმწიფოებრივი დაცვის დაწესებას, რაც ძირითადად ძეგლების რესტავრაციასა და კონსერვაციას გულისხმობს.

დიდი ამოცანები ეკისრება სამეცნიერო კვლევით ტექნოლოგიურ ლაბორატორიას, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ხის და ალიზის კედლების დაცვა, გამოიმუშაოს ქვის წყობის დამშლელი მცენარეებისა და ქვის ეროზიასთან ბრძოლის მეთოდები, ფართოდ გამოიყენოს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ამ დარგში. (1).

საქართველოს ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობისა და მათი პროპაგანდის საქმეში ჩატარებულმა თვისობრივმა, ახალმა ძვრებმა სასუ-



რველი შედეგი გამოიღო, მკვეთრად შეიცვალა ფართო საზოგადოებრივი და წარმოება-დანესებულებების მიდგომა ამ საშვილიშვილო საქმიანობებში.

საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდიანმა ამხ. ე. ა შვეარდნაძემ საქ კომპარტიის XXVI ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: „...სამოცდაათიანი წლების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ კარდინალურად შეიცვალა დამოკიდებულება რევოლუციისა და კულტურის ისტორიული ძეგლების დაცვისადმი...“ (3).

როგორც ცნობილია ისტორიული ძეგლების უდიდესი ნაწილი თვალსა და ხელს შუა გვეცლება, ბუნებაში მიმდინარე მექანიკური, ქიმიური თუ ფუნქციონალური პროცესების შედეგად.

ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაშლა-ნგრევის პროცესში ერთ ერთი თვალსაჩინო და ნამყვანი ადგილი ბიოტურ ეროზიას უკავია. ძნელი დაასახელოთ ისტორიისა და კულტურის რომელიმე ძეგლი, რომელიც უმადლესი თუ უმდაბლესი მცენარეების დამშლელ მოქმედებას არ განიცდიდეს (4). მიუხედავად ამისა, მათ მეცნიერულ შესწავლას ჩვენში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, მაშინ, როდესაც ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვა-რესტავრაცია, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემადაა აღიარებული როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანებასთან არსებულ სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ მიზნად დაისახა გამოველინებინა ბიოტური ეროზიის გამომწვევი ორგანიზმები და დაესახა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

ბიოტური ეროზია თავისი ბუნებით მრავალნახნაგოვანი პროცესია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს: ერთი და მრავალწლოვანი ბალახები, ხავსები, ბუჩქები, ხე-მცენარეები, წყალმცენარეები, ლიქენები, სოკოები, მწერები, მღრღნელები, ფრინველები და სხვა.

ისტორიულ ძეგლებში აღმოცენებული მცენარისათვის საშენი მასალა და მათი შემაკავშირებელი ნაზავი დაუძლეველ ბარიერს არ წარმოადგენს. მცენარის ფესვები მჭაფური გამონაყოფებით შლიან მათ, რომელზედაც შემდგომში მასობრივად ხდება მცენარეების დასახლება.

მცენარის ფესვთა სისტემა, მისთვის დამახასიათებელი დადებითი გეოტროპიზმის გამო გააღწევს საშენი მასალის წყობას. ნიადაგში მოხვედრილი ფესვები იწყებს საკვები ნივთიერებების ინტენსიურ მოპოვებას, რაც უზრუნველყოფს მცენარის სწრაფ შემატებას სიმაღლესა და დიამეტრში. ფესვების დიამეტრში მატების შედეგად წარმოიქმნება წნევა, რომელიც იწვევს ნაგებობის კედლების დაბზარვას. ბზარების წარმოქმნას ხელს უწყობს აგრეთვე მცენარის მასა და ამ მასაზე მომქმედი ქარის ძალა. ასე მაგალითად, ვ. გულისაშვილის მონაცემებით, ხისა და ბუჩქების 1 კვ. მ ვარჯზე მომქმედი 13,5—16,5 მ/წმ ქარი აწვეთარებს 15—22 კვ.მ-ის დანოლის ძალას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზოგიერთ ძეგლზე აღმოცენებული მცენარის ვარჯი 50 კვ. მ-ს აღემატება, ამასთან ხის ღერო ასრულებს ბერკეტულ მოქმედებას, მაშინ





საქართველოს  
ენციკლოპედია



ძეგლის დამზღველი მცენარეების და-  
სახლებული ვანაძიანის „კველაწმინდის“  
ეკლესია, საერთო ხედი ჩრდილოეთი-  
დან.

Вачнадзвianская церковь «Кве-  
лацминда», заселенная растения-  
ми. Общий вид с севера.



ძეგლის დამზღველი მცენარეებით და-  
სახლებული ვანაძიანის „კველაწმინდის“  
ეკლესია, ხედი აღმოსავლეთიდან.

Вачнадзвianская церковь «Квела-  
цминда», заселенная растениями.  
Вид с востока.



ქველის დაშლული მცენარეებით და-  
საღებული ვანაძიანის „ეველაწმინდის“  
ეკლესიის სახურავი სამხრეთ აღმოსავლეთ-  
იდან.

Крыша церкви «Квелацминда»,  
заселенная растениями. Вид с юго-  
востока.

ნათელი გახდება თუ რა ძალასთან გვაქვს საქმე. ნობილია, რომ ქარის სისწრაფე ნიადაგის ზედაპირზე მცირეა და სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება (5). ქარის დაწოლისაგან ხის ტანის რყევის შედეგად ნაგებობებში წარმოიქმნება ნაპრაღი, რომელიც თანდათანობით იზრდება. ამას ემატება ატმოსფერული ნალექების გავლენა, წყალი ჭონავს წარმოქმნილ ნაპრაღებში და იწვევს მცენარის მიერ გამოყოფილი მჟავების საშუალებით ინერტული მასის გამორეცხვას. (6)

როგორც ცნობილია, უმაღლესი მცენარეები იზოლირებულად არ ცხოვრობენ. ფესვთა სისტემიდან რიზოსფეროში გამოყოფილი ნივთიერებების საშუალებით ისინი კონტაქტს ამყარებენ მიკროორგანიზმებთან, ამის შედეგად მათ შორის გარკვეული ურთიერთთანაცხოვრება მყარდება, რაც განაპირობებს ბუნებაში გაბატონებულ მიკოტროფულ კვებას (6). აღსანიშნავია, რომ მიკორიზის წარმომქმნელ სოკოებს გააჩნიათ უდიდესი ფიზიოლოგიური პოტენციალი; მათ მიერ გამოყოფილ მჟავებს შესწევთ უნარი დაშალონ თითქმის ყველა ბუნებრივი სამშენებლო მასალა (ქვა, აგური, ალიზი, გრანიტი, მარმარილო, მეტალი და სხვა) და გარდაქ-



ქეგლის დამშლელი მცენარეებით და-  
სახლებული ვაჩნაძიანის „უველაწმინდის“  
ეკლესია. ხედი სამხრეთ დასავლეთიდან.



Вачнадзианская церковь «Кве-  
лацმიда», заселенная растениями  
Вид с юго-запада.



ბიოტური ეროზიის შედეგად გამოწ-  
ვეული ვაჩნაძიანის ეკლესიის ნაგებო-  
ბის ნგრევა, ბზარები და შემაკავშირებე-  
ლი ნაწილის დაშლა.

Разрушение Вачнадзианской цер-  
кви вызванное эрозией. Трещины  
и распадение соединительного рас-  
твора.



მნან ისინი მცენარისათვის ადვილად შესათვისებელ მინერალურ ნივთიერებად. ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სასარგებლო ველის ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე დასაბამებული მცენარეების უდიდესი ნაწილი მიკოტროფული კვებით ხასიათდება.

ძეგლებზე უმეტეს შემთხვევაში დასახლებას იწყებს ქსეროფიტები. მათ ახასიათებთ სიმშრალის შეგუების მრავალი საშუალება: ფესვთა სისტემის ძლიერი განვითარება, მაღალი ოსმოსური წნევა, ტენიობის ატანის უნარი. მათგან ხშირად გვხვდება სუკულენტები — მცენარეები სქელი, ხორცოვანი ორგანოებით, თხელფოთლიანი და უხეშფოთლიანი ქსეროფიტები, რომლებიც წყლის სიჭარბის შემთხვევაში ინტენსიურად აწარმოებენ ტრანსპირაციას, წყლის ნაკლებობისას კი ტრანსპირაციას ამცირებენ. ძეგლებზე გვხვდება აგრეთვე მშრალი სამყოფელის სხვა ტიპის მცენარეები — ეფემერები და ეფემეროიდები. ამ მცენარეების თავისებურებაა განვითარების ჩქარი ტემპი, რაც მათ საშუალებას აძლევს მოკლე ვადაში, ხშირად 2—3 კვირაში ღამთავრონ მთელი სიცოცხლის ციკლი. მათი აქტიური ვეგეტაცია შეფარდებულია ტენიან გაზაფხულსა და შემოდგომის პერიოდთან.

ეფემეროიდები გვალვის პერიოდში კარგავენ მთელ მინისზედა მასას და რჩებიან ბოლქვების და ფესურების სახით, რომელთაც წყლის ნაკლებობის გადატანის უნარი აქვთ (7,8).

ძეგლებზე უმაღლესი მცენარეებიდან უფრო ხშირად გვხვდება აკაკი, ლეღვი, ქართული მუხა, ქართული ნეკერჩხალი, თუთა, კუნელი, იფანი, ფიჭვი, კვიძო, ღვია, სურო, მაჩიტა, კლდის დუმა, ია, ყოჩივარდა, ფურისულა, ქრისტესისხლა, მარცვლოვნები, გვიმრები, ხავსები. ამათგან ღომინანტობს ლეღვი, აკაკი, სურო, ქრისტესისხლა, მაჩიტა, ია.

ისტორიული ძეგლების დაშლის პროცესში ფრიად მნიშვნელოვანია მღიერების ანუ ლიქენების როლი. ისინი მიეკუთვნებიან უმდაბლეს მცენარეებს და წარმოადგენენ სოკოსა და წყალმცენარის სიმბიოზს. სახლდებიან რა ინერტულ მასალაზე თავიანთი მჭავური გამონაყოფებით შლიან მათ. ცნობილია, რომ მღიერები შეიცავენ 6%-მდე მჭავებს (9), რომლებიც მიეკუთვნებიან გარკვეულ კლასს — ლიქენურ მჭავებს (10).

ლიქენები თავიანთი ცხოველმოქმედების პროცესში გამოყოფენ ფუნოლფტალენის. ამის გარდა შეიცავენ ბუნებრივ ნაერთებს, რომლებიც ძლიერი ანტიბიოტიკური თვისებებით ხასიათდებიან (9, 11).

ლიქენების მიერ ცხოველმყოფელობის პროცესში გამოყოფილი მჭავეები რეაქციაში შედიან ქვაში შემავალ ელემენტებთან, წარმოქმნიან წყალში ხსნად მარილებს, რითაც ისინი იკვებებიან. ამ მარილებს ადვილად გამორეცხავს ნალექები, რასაც შედეგად ქვების დაშლა მოყვება (12). ლიქენების დასახლება ხელს უწყობს სუბსტრატზე ჰუმუსის წარმოქმნას, და ატმოსფერული ნალექების ტრანსპორტირებას ნაგებობებში.

როგორც ვხედავთ, მცენარეული ორგანიზმები უარყოფითად მოქმედებენ ძეგლებზე როგორც დამანგრეველი ფაქტორები.



ბიოტური ეროზიის შედეგად გამოწვეული ვაჩნაძიანის „ყველანმინდის“ ეკლესიის ნაგებობის ნგრევა, პზარები და შემაკავშირებელი ნაწილის დაშლა.

Разрушение Вацнадзианской церкви вызванное эрозией. Трещины и распадение соединительного раствора.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლეთ ზოგიერთი ისტორიული ძეგლი, მათ შორის ვაჩნაძიანის „ყველანმინდას“ ეკლესია და მასზე გავრცელებული მცენარეები. შევიმუშავეთ მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები და ჩავატარეთ საწარმოო ცდა.

ვაჩნაძიანის „ყველანმინდის“ მონასტერი იმყოფება ფოთლოვან ტყეში, 8 კმ მოშორებით სოფ. შრომიდან (ყოფილი ვაჩნაძიანი). მონასტერი წარმოადგენს ვრცელ კომპლექსს, რომელიც ამჟამად ნანგრევებადაა ქცეული. მონასტრის ცენტრია გუმბათოვანი ეკლესია, VIII—IX სს ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლი. ეკლესიაში მოცემულია ორი ტენდენციის, უფრო სწორად ორი კომპოზიციის შერწყმა. ხუროთმოძღვარმა მას საფუძვლად დაუდო ბაზილიკიანი ეკლესია, რომელიც მთლიანად დაამუშავა და გარდაქმნა გუმბათოვან პრინციპზე (13) ნაშენ რიყის ქვითა და აგურით (14).

ეკლესია მთლიანად დაფარულია მცენარეებით. კედლებზე თითქმის ყველგან არის ლიქენები და ხავსები, ბალახოვანი მცენარეებიდან — ქრისტესისხლა, უჭურველი, ია, მარცვლოვანი მცენარეები; ძეგლის სახურავზე განვითარებულია ცაცხვის, რცხილის, იფნის 12—15 მეტრიანი ხეები, ღვიისა და ბზის მარადმწვანე ბუჩქები. (იხ. სურ. 1, 2, 3, 4).

ძეგლი რამდენჯერმე იქნა გამოკვლეული, რის შედეგადაც აღმოჩნდა 30 ოჯახის, 43 გვარის 48 სახეობის მცენარე.



ვაჩნაძიანის „ყველანმინდის“ ეკლესიაზე მერქნიანი მცენარეებიდან აღმოცენებული იყო: ჩვეულებრივი ნეკერჩხალი, იფანი, კავკასიური რცხუნა, ცაცხვი, ბალამნარა.

მოგვყავს ვაჩნაძიანის „ყველანმინდის“ ეკლესიაზე განვითარებული მცენარეების სია:

ოჯახი: ნამდვილი გვიმრები —	Polypodiaceae
ცისტოპტერისი —	Cistopteris filix fragalis (L.) Chiov.
ჩადუნა —	Driopteris filix mas L.
ირმის ენა —	Phyllitis scolopendrium (L.) Newm.
მამასნარა —	Asplenium trichomanes L.
უჭურველი —	Asplenium ruta-muraria L.
კლდის ძირტკბილა (კილამურა) —	Polipodium vulgare L.
ოჯახი: კვიპაროზისებრნი —	Cypressaceae
ლვია —	Juniperus
ოჯახი: ბაისებრნი —	Ranunculaceae
ფრინტა	Anemone ranunculoides L.
ჩანწყობილა ბაია —	Ficaria Ledebourii Gross et Scischk.
ოჯახი: ჯინჭრისებრნი —	Urticaceae
ჯინჭარი —	Urtica dioica L.
კედლისპირა —	Parietaria officinalis L.
ოჯახი: თხილისებრნი —	Corillaceae
რცხილა —	Carpinus caucasica Grossh.
ოჯახი: მიხაკისებრნი —	Caryophyllaceae
ფუნფრუკი —	Stellaria media (L.) Cyr.
ოჯახი: ყაყაჩოსნებრნი —	Papaveraceae
ქრისტესისხლა —	Chelidonium majus L.
ბუჩქისძირა —	Coridalis marschalliana (Pall.) Pers.
შავთარა —	Fumaria Ledebourii Grossh.
ოჯახი: ჯვაროსანნი —	Cruciferae
ნიერის დედა —	Alliaria officinalis Andz.
ტყის ბოლოკა —	Dentaria quinquefolia M. B.
ხახია —	Pachyphragma macrophyllum (Hoffm.)
ოჯახი: იისებრნი —	Violaceae
თეთრი ია —	Viola alba Bess.
ჩვეულებრივი ია —	Viola suavis M. B.
ოჯახი: რძიანასებრნი —	Euphorbiaceae
რძიანა —	Euphorbia macroceras F. et M.
ოჯახი: ბზისებრნი —	Buxaceae
ბზა —	Buxus colchica Pojark.
ოჯახი: მსუქანასებრნი —	Crassulaceae
კლდისდუმა —	Sedum caucasicum (Gross.) A. Boiss.



- ოჯახი: ვარდისებრნი —  
 ასკილი —  
 ბალამწარა —  
 ოჯახი: ცაცხვისებრნი —  
 ცაცხვი —  
 ოჯახი: ნემსიწვერასებრნი —  
 ნემსიწვერა —  
 ოჯახი: ნეკერჩხლისებრნი —  
 ქართული ნეკერჩხალი —  
 ოჯახი: სუროსებრნი —  
 სურო (ფათალო) —  
 ოჯახი: ქოლგოსანნი —  
 ქვაპურა —  
 ოჯახი: ფურისულასებრნი —  
 ტყის ფურისულა —  
 დიდჯამა ფურისულა —  
 ოჯახი: ზეთისხილისებრნი —  
 იფანი (კოპიტე) —  
 ოჯახი: შავნამალასებრნი —  
 ვერონიკა —  
 ოჯახი: კელეპტარასებრნი —  
 კელეპტარა —  
 ოჯახი: ტუჩოსანნი —  
 ტინტრის დედა —  
 ოჯახი: ენდროსებრნი —  
 ენდრონიკა —  
 ოჯახი: ცხრატყავასებრნი —  
 დიდგულა —  
 ოჯახი: რთულყვავილოვანნი —  
 ბაბუნაწვერა —  
 ოჯახი: შროშანასებრნი —  
 ღანძილი —  
 სეინტრი —  
 ოჯახი: —  
 ძაღლის სატაცური —  
 ოჯახი: ნარგიზისებრნი —  
 თეთრყვავილა —  
 ოჯახი: მარცვლოვანნი —
- Rosaceae  
 Rosa canina L.  
 Cerasus avium (L.) Moench.  
 Tiliaceae  
 Tilia caucasica Rup.  
 Geraniaceae  
 Geranium depilatum S. et L.  
 Aceraceae  
 Acer jbericum  
 Araliaceae  
 Hedera caucasigena A. Pojark.  
 Umbeliferae  
 Bupleurum polyphyllum Ledb.  
 Primulaceae  
 Primula Woronovii A. Los.  
 Primula macrocalix Bge.  
 Oleaceae  
 Fraxinus excelsior L.  
 Scrophulariaceae  
 Veronica peduncularis M. B.  
 Orobanchaceae  
 Orobanche sp.  
 Labiatae  
 Lamium album L.  
 Rubiaceae  
 Galium verum L.  
 Caprifoliaceae  
 Sambucus nigra L.  
 Compositae  
 Taraxacum vulgare (Lam.)  
 Liliaceae  
 Allium ursinum L.  
 Poligonatum polianthemum (M. B.)  
 Djetr.  
 Dioscoraceae  
 Tamus communis L.  
 Amarallidaceae  
 Galanthus caucasicus (Baker.) Grossh.  
 Gramineae



თივაქასრა —  
ტყის თივაქასრა —  
წივანა —  
ოჯახი: ნიუკასებრნი —  
ნიუკა (ქალაკოდა) —

*Poa compressa* L.  
*Poa nemoralis* L.  
*Festuca sulcata* Hack.  
Araceae  
*Arum albispatum* Stev.

ხავსები:

Entodontaceae  
*Pleurotium Schreberi* (Willd.) Mitt.

ოჯახი: —

Hylocomiaceae  
*Hylocomium proliferum* (Hedv.) Lindb.

ოჯახი: —

ლიქენები;

*Caloplaca murarum* (Hoffm.) Th. Er.  
*Hypogymnia physoides* (L.) Ach.

ისტორიული ძეგლების დამშლელი მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საქართველოში მეცნიერული კვლევა თითქმის არ ჩატარებულა. უმეტეს შემთხვევაში იგი ემპირიულ ხასიათს ატარებდა და მოკლებული იყო ყოველგვარ მეცნიერულ საფუძვლებს.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღვნიშნოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ისტორიულ ძეგლებზე მერქნიანი მცენარეების მიერ გამოწვეული ბიოტური ეროზიის წინააღმდეგ საბრძოლველად დღემდე ჩვენი რესპუბლიკის პრაქტიკაში დამკვიდრებულია უგერგილო და ყოველად გაუმართლებელი მეთოდი, როგორცაა მცენარეების ძეგლზედა ორგანოების მოჭრა-განადგურება ანუ მექანიკური მეთოდი.

ამ მეთოდის მიმდევრებსა და პრაქტიკულ განმხორციელებლებს მხედველობიდან რჩებათ ის გარემოება, რომ ნაგებობებზე მცენარის ძეგლზედა ორგანოებთან (ღერო, ტოტები, ფოთლები) შედარებით უფრო ძლიერად მოქმედებს ფესვთა სისტემა და ამ სისტემაზე დასახლებული მიკროორგანიზმები (სოკოები, ბაქტერიები). მცენარის ძეგლზედა ორგანოების მოჭრის შემდეგ ფესვები აქტიურდებიან. მაგალითად, მცენარის ღეროს მოჭრის შემდეგ გაღვიძებას იწყებს ფესვებში არსებული მძინარე კვირტები. მძინარე კვირტებიდან განვითარებული ყლორტები ისწრაფვიან სინათლისაკენ და გზაზე იწვევენ სამშენებლო წყობის დაშლას, ბზარების გაჩენას, ნგრევას. (სურ. 5, 6, 7).

ფესვთა სისტემის გააქტიურება აღინიშნება უმაღლესი მცენარეების ძეგლზედა ორგანოების მოჭრის შემდეგ. ჩვენი ძეგლების უმეტესი ნაწილი დასახლებულია ფოთლოვანი ხემცენარეებით. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ არასწორად ვიქცევით, როდესაც ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე აღმოცენებულ მცენარეების „განადგურების“ მექანიკურ მეთოდს მივმართავთ.






ბიოტური ეროზიის შედეგად გამოწვეული ვაჩნაძიანის „უველაწმინდის“ ეკლესიის ნაგებობის ნგრევა, პზარები და შემაკავშირებელი ნაწილის დაშლა.

Разрушение Вацнаძианской церкви вызванное эрозией. Трецифы и распадение соединительного раствора.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ გამოგვევლინებინა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დამშლელი მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა მოგვესპო მცენარის არამართო ძეგლზედა ორგანოები, არამედ ძეგლებში განვითარებული ფესვთა სისტემა. ამ მიზნით გამოცდილ იქნა სხვადასხვა კონცენტრაციებში შემდეგი შხამ-ქიმიკატები: ტორდონი 22-კ, ფორმალინი, კალსტიკური სოდა, სამქლორძმარმეავა, სპილენძის კარბონატი და სულფატი, რკინის კარბონატი და სულფატი, 2,4-დ ამინის მარი-



ვანაძიანის „უველაწმინდის“ ეკლესია ბიოტური ეროზიის გამომწვევა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის დონის ძიებების ჩატარების შემდეგ.

Вачнадзвianская «Квелацминда» после проведения меры борьбы с растениями, которые вызывают биотическую эрозию.

ლი, ამონიუმის როდანიდი, ნატრიუმის ფტორიდი, მაგნიუმის, ნატრიუმის, რკინის, ამონიუმის და სხვა მეტალთა ფტორსილიკატები, კარაგარდი 3587, გარდოპრიმი—80, გერაპრიზე 1798, სამქლორძმარმფავას ნატრიუმის მარილი. ძირითადად სამუშაოდ ვარჩევდით ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც სისტემურ შხამებს წარმოადგენენ მცენარეებისათვის. (15,16).

ხე, ბუჩქოვანი და ბალახოვანი მცენარეების მოსასპობად ლაბორატორიულ და საველე პირობებში ჩატარებული დაკვირვებებიდან მივედით იმ დასკვნამდე, რომ ტორდონი 22-კ და 2,4-დ ამინის მარილი ხასიათდებიან მაღალი ტოქსიურობით, იწვევენ მცენარეების სრულ განადგურებას და აკმაყოფილებენ ჩვენს მიერ წაყენებულ მოთხოვნებს — ფესვთა სისტემის ხმობას. ორივე შხამი სისტემური მოქმედებისაა, წყალში კარგად იხსნება, არ იწვევს ისტორიული ძეგლების შეფერვას და ქიმიურ რეაქციაში არ შედის ინერტულ მასალასთან. 2,4-დ ამინის მარილი სამამულო წარმოშობისაა, ამასთან ხმარებიდან 2-3 კვირის შემდეგ სრულიად უვნებ-



ლია, ხოლო ტორდონ 22-კ ღია გრუნტში ინარჩუნებს აქტივობას ხმარების დღიდან 2-3 წლის განმავლობაში.

აღნიშნული მეთოდით დამუშავდა ვაჩნაძიანის „ყველანმინდის“ ლესია და იგი სრულიად გასუფთავდა მცენარეული საფარისგან.

ხავესების წინააღმდეგ გამოიყენა: შაბიაშინის, რკინის სულფატის, ნატრიუმის ფტორიდის, მეტალთა ფტოროსილიკატების, სამქლორძმარმჭავა ნატრიუმის, ამონიუმის როდანიდის, 2,4-დ ამინის მარილის, ტორდონ 22-კ-ს წყალხსნარები სხვადასხვა კონცენტრაციებში. შაბიაშინის ღსნარი ცისფერი სითხეა, მისი ხმარების შედეგად ქვები ფერს იცვლიან. ამიტომ ძეგლებზე დასახლებული მცენარეების წინააღმდეგ საბრძოლველად მისი გამოყენება დაუშვებელია. რკინის სულფატი აქტიური მარილია, რომლის გამოყენება არამიზანშენონილად მიგვაჩნია, რადგან ქვების შემადგენლობაში არსებულ ელემენტთა ჟანგულებსა და აღნიშნული მარილის ქიმიურ ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება წყალში ხსნადი მარილები.

ამგვარად, ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ვაჩნაძიანის „ყველანმინდის“ ეკლესია დასახლებული იყო 34 ოჯახის, 47 გვარის, 52 სახეობის მცენარით.

ჩვენს ქვეყანაში პირველად იქნა შემუშავებული ბიოტური ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური საშუალებები.

დადგენილია შხამ-ქიმიკატების შესხურების ვადები და კონცენტრაციები.

გამოცდილ პრეპარატებიდან შერჩეულია, ტორდონ 22-კ-ს 5%-ანი წყალხსნარი, 24-დ ამინის მარილის 10%-ანი წყალხსნარი, ვინაიდან ისინი არ შედიან ქიმიურ რეაქციაში საშენ მასალასთან. არ მოქმედებენ ქვაზე, არ ტოვებენ ლაქებსა და არ ცვლიან მის ფაქტურას.

რამდენადაც ჩვენს მიერ შემუშავებული ბრძოლის ქიმიური ღონისძიებები უზრუნველყოფს ისტორიული ძეგლების ბიოტური ეროზიის გამომწვევი მცენარეების სრულ განადგურებას, ყოვლად დაუშვებელია სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე, სანამ არ ჩატარდება მცენარეობის სრული ინვენტარიზაცია და ქიმ. დამუშავება.

### ლიტერატურა

1. ი. ციციშვილი — „ფლერს ქვის პარკონია“, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეს — სახელმწიფო ზრუნვა. გაზ. „კომუნისტი“, 1978 წ. 20 აპრილი.  
2. Методика реставрации памятников архитектуры. Предисловие ж-л. М., 1977.



3. ე. ა. შვეარდნაძე — საანგარიშო მოხსენება საქ. კომპარტიის X XVI კრილოზნზე.  
1981 წ. იანვარი.
4. ნ. ცანავა — შევეუნახოთ შთამომავლობას, ჟურნ. „დროშა“, № 8, 1978 წ.
5. ვ. გელისაშვილი — ზოგადი მერტყვევობა, წიგნი პირველი, თბილისი, 1974 წ.
6. ლ. ნოზაძე — ენდოტროფული მცენარეა ყაზბეგის მაღალმთის გაზაფხულის მცენარე-  
ებში. ბოტანიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXV, სერია გეობოტანიკა, თბილისი, 1967 წ.
7. ე. ნოვიკოვი — მცენარეთა ფიზიოლოგია, თბილისი, 1972 წ.
8. გ. კეცხოველი — საქართველოს მცენარეული საფარი, თბილისი, 1959.
9. მ. გოლენაბი, ე. ელენკინი — მღიერები, მათი აღნაგობა, ცხოვრება და მნიშვნელო-  
ბა. ლენინგრადი, 1938 წ.
10. ВМЭ, выпуск I.
11. Химия антибиотиков, 3 изд., т. I, М., 1961 г.
12. J. Asahina, S. Shibata-Chemistri of lichen substances, Tokio, 1954.
13. Чубинашвили Г. Н. Архитектура Кахетии, Тб., 1959.
14. ქართული ენციკლოპედია, პირველი გამოცემა, ტ. 4, 1979.
15. Крачковский Е. А. — Гигиена применения ядохимикатов, Справочник, Киев, 1978.
16. Srodki chemizne sluiqce do zyralzana biologieznych szkodirow obiektow zaby-  
thowych, „Ochrona” - nr. 2, 1976.



მახუნცეთის ხიდის თაღოვანი მალის  
საერთო ხედი.

Общий вид арочного пролета  
Махунцетского моста.


გივი კიზირია, მიხეილ ცანტარაძე

### მახუნცეთის ხიდის თაღოვანი მალის გაანგარიშების შედეგები

საქართველოში XI-XII სს. აგებულმა ქვის ხიდებმა დღემდე მოაღწია. მათ შორის აღსანიშნავია ხიდები მდ. აჭარის წყალზე სოფ. დანდალოსთან, ფურტიოსთან, მახუნცეთთან, ხიდი მდ. ბესლეთზე სოხუმთან.


ძველი რომაული ხიდებისაგან განსხვავებით, რომლებსაც სწორკუთხა, გათლილი ქვისაგან — კვადრებისაგან — უხსნაროდ აგებული ნახევარი წრის ფორმის თაღები გააჩნიათ, ზემოთ აღნიშნულ ხიდებში გამოყენებულია ხსნარზე აგებული ყორე-ქვის დამრეცი, ცვალებადი სიმრუდის თხელი თაღები (გათლილი ქვები მხოლოდ ფასადებზეა გამოყენებული მოპირკეთების სახით). ეს ხიდები გამოირჩევა პროპორციების სინატიფით და წარმოადგენს შუა საუკუნეების დროინდელ მნიშვნელოვან ძეგლებს შემოქმედებითი კონსტრუირების თვალსაზრისით.

ასეთი თაღების მზიდუნარიანობა დიდად არის დამოკიდებული ნაგებობაში მასების განაწილებაზე და თვით თაღების მოხაზულობაზე. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ქვის წყობას შეუძლია მუშაო-



მახუნცეთის ხიდის თაღოვანი მალის  
განგარიშების შედეგები. ხედი აღ-  
მოსავლეთიდან.

Результат вычисления арочного  
пролета Махунцетского моста.  
Вид с востока.



მახუნცეთის ხიდის თაღოვანი მალის  
განგარიშების შედეგები  
ხედი დასავლეთიდან.

Результат вычисления арочного  
пролета Махунцетского моста. Вид  
с запада.

ბა მხოლოდ კუმშვაზე, ხოლო დამრეც თაღებში ამ პირობის დაკმაყოფილება საკმაოდ რთულია. ამჟამადაც თაღის საუკეთესო მოხაზულობის შერჩევა წარმოადგენს სამშენებლო მექანიკის ერთ-ერთ, ჯერ კიდევ ბოლომდე გადაუწყვეტელ, რთულ ამოცანას.

მდ. აჭარის წყალზე სოფ. მახუნცეთთან მდებარე ხიდის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, წინასწარ ჩატარდა აზომვები, რო-



მელმაც გამოავლინა ხიდის მოხაზულობა და მისი გეომეტრიული ზომები (მალი 20 მ. აწეულობის ისარი 4,25 მ).

ხიდის მზიდუნარიანობის შესაფასებლად აგებული იქნა წნევის წირები გრაფონალიზური მეთოდით ხიდის აღმოსავლეთ და დასავლეთის ფასადების მიმართ, რადგან მათი მოხაზულობა ერთმანეთისაგან განსხვავდება.

როგორც ცნობილია, იმისათვის, რომ სწორკუთხა კვეთში არ წარმოიშვას გამჭიმავი ძაბვები, ძალთა ტოლქმედი, ანუ ჩვენ შემთხვევაში წნევის წირი არ უნდა გამოდიოდეს კვეთის სიმაღლის მესამედიდან. როგორც აგებული წნევის წირები გვიჩვენებს მოყვანილი პირობა დაკმაყოფილებულია. თაღის ყველა კვეთში საკუთარი წონისაგან მოქმედებს მხოლოდ მკუმშავი ძაბვები და მისი სიმტკიცე უზრუნველყოფილია, რასაც გვიდასტურებს ამ ხიდის მრავალსაუკუნოვანი არსებობაც.

ამგვარად ხიდს სერიოზული გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება აღარ დასჭირდა, გარდა იმისა, რომ პროექტით გავითვალისწინეთ ზედა საფარის აღდგენა, ცალკეული საპირე ქვების გამოცვლა და ბზარების ინექციით, ცემენტის ხსნარით შევსება.

წნევის წირის აგება შესრულებულია პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების მ. მჭედლიძისა და ბ. ცხადაძის მიერ.



### დასჯის ფორმები აღრე შუასაუკუნეების საქართველოში

ძველმა ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს ცნობები აღრე შუასაუკუნეების საქართველოში არსებული ადამიანის დასჯის სხვადასხვა ფორმების შესახებ. როგორც ქვემოთ დავინახავთ ეს ფორმები ძირითადად ორგვარია — ფიზიკური დასჯა და გამანობილებელი სასჯელის დადება. ჯერ განვიხილოთ ის შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს ფიზიკურ დასჯასთან.

ვარსკენის მიერ შუშანიკის საპყრობილეში ჩასმის ცალკეული დეტალების აღწერისას ჩანს, რომ საპყრობილეში მოთავსებული ადამიანის დასჯის ფორმა ყოფილა ქედზე ჯაჭვის დადება და ფეხებზე ბორკილის შებმა.<sup>1</sup> შუშანიკს „ჯაჭვ იგი, რომელ ედვა ქედსა მისა ზედა, ეგრეთვე ედვა, დაპბეჭდა ურულმომან ვარსკენ“ (ქქალძე, 21 10-11) გადმოგვცემს იაკობ ხუცესი. ჩორდს წასულ პიტიახშს პერეთის საზღვარზე წამოეწევა მისი ძმა ჯოჯიკი „და ევედრებოდა მას ფრიად, რაათამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევებაა მისი“ (ქქალძე, 22. 10—11). ჯოჯიკის დიდი ხვეწნის შემდეგ ვარსკენმა „ბრძანა განტევებაა საკრველთაგან. ოდენ. და ვითარ შოვიდა ჯოჯიკი, აღჰკადა ჯაჭვ იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაა არა თავს — იდვა წმიდამან შუშანიკ“. (ქქალძე, 22. 15—17). მოგვიანებით ამ ბორკილის გამო ეპისკოპოსნი და აზნაურნი ევედრებიან შუშანიკს „რაათა ბორკილი იგი ფერკთაა ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევედ ყოველთათვს“ (ქქალძე, 27. 26—27). აქ ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი უძველესი დადასტურება წმინდანის კულტის გამოვლინებისა, როდესაც მის მიერ ნაქონი ნივთები ამ შემთხვევაში მისი ნამების იარაღი, მიჩნეულია როგორც სასწაულმოქმედი, მცველი და მაკურთხებელი ყოველთა.

ქედზე ჯაჭვის დადება და ფეხებზე ბორკილის შებმა, როგორც დასჯის ერთ-ერთი ფორმა გვხვდება „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“. საერთოდ ეს ნაწარმოები გამოირჩევა დასჯის სხვადასხვა ფორმების დასახელებით, რომელთაც ქვემოთ შევხებით.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ აღნიშნულია, რომ ევსტათი და სხვა მისი თანამზრახველები, რომლებიც ქრისტიანობაზე მოიქცნენ, მიიყვანეს მსაჯულთან, ხოლო მან „უბრძანა მსახურთა თვსთა პირსა ცემაა ნეტართაა მათ და გარე განყვანებაა მათ და ყოველთაა და უბრძანა: „დაჰყვნეთ მაგათ თავი და წუერი და განუჭურიტენით მაგათ ცხვრნი და ჯაჭვ დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუხსენით ფერკთა, და შუხსენით ეგენი საპყრობილესა“ (ქქალძე, 33. 6—8). სხვა დროსაც ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ ევსტათი და მისი თანამზრახველნი მარზპანის ბრძანებით „ჯაჭვ დაბორკილნი საპყრობილედ შეაყენეს“ (ქქალძე, 33. 26—27).

ამგამად ჩვენთვის საინტერესოა ადამიანთა ჯაჭვით დაბმა, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების ერთ-ერთი ფორმა და, მასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული ფაქტორები.






ჯაჭვებით ადამიანთა დაბმის შესახებ ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ მრავალი ფაქტი შემოგვინახა. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა დაბმის ბმელი ჯაჭვები სტრაბონის მიხედვით, ძვ. წ. აღ. I საუკუნისათვის ძველ ალბანელთა ყოფაშიც დასტურდება. ამ ფაქტის ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს ალბანელთა წარმართული რელიგიისათვის დამახასიათებელი წესები. კერძოდ ალბანელები თაყვანს სცემდნენ მზეს და მთვარეს, რომლის მთავარი ტაძარი, თურმე, იბერიის მახლობლად მდებარეობდა. მეფის შემდეგ ყველაზე პატივსაცემად ითვლებოდა ის, ვინც ტაძარს ემსახურებოდა; იგი განაგებდა ხატის დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ მამულს, ითვლებოდა ხატის ყმების უფროსად. ხატის ყმებს შორის ბევრი ქადაგად დაეცემოდა, წინასწარმეტყველებდა. მათ შორის ბევრი — წინასწარმეტყველებითა და ქადაგებით ზედმეტად გატაცებული, ტყვეში მარტოკა დახეტილობდა. ქურუმები მათ იჭერდნენ, კისერზე ჯაჭვს დაკიდებდნენ და ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად ასუქებდნენ. ხოლო შემდეგ მათ — უკვე ამ გზით მირონცხებულებს, სხვა საღმრთო შესანიშნავებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირავდნენ.<sup>2</sup>

საერთოდ ჯაჭვს, როგორც მართლმსაჯულების იარაღს, ან როგორც რიტუალურ ნივთს ან კიდევ, როგორც სულით ავადმყოფთა სამკურნალო მაგიურ საგანს შორეულ წარსულში მოეპოვება საფუძვლები. მისი სხვადასხვა ფუნქცია მითებსა და თქმულებებშიც აისახა. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილ მითში ამირანის შესახებ, სომხურ გადმოცემაში მეფე არტავაზდის შესახებ და სხვ. ეს გადმოცემები, როგორც ვიცით. გვაუწყებენ, რომ როგორც ამირანი, ისე არტავაზდი ღვთის წინაშე ურჩობისათვის ქედზე იქნენ მიჯაჭვულნი.<sup>3</sup>

სანამ უშუალოდ დასჯის სხვა ფორმებს შევხებოდეთ, „შუშანიკის ნამებაში“ დაცულ ამ ფაქტთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი: შუშანიკის ზნეობრივი შეხედულებების და მისი მორალური მრწამსის დასახასიათებლად განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ქმარის ასეთ, შეიძლება ითქვას, მდაბიურ სასჯელს (ქედზე ჯაჭვის დადებას და ფეხებზე ბორკილების შებმას, რომ არაფერი ვთქვათ რამოდენიმეგზის მის ცემასა და მიმოთრევაზე), ის უპირისპირებს ზეციურ სამართალს და იმქვეყნად მოელის მასა და ქმარს შორის სამართლის მოპოვებას: „განვსაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა — იგი არა არს თუალღება მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსი და შეუფისა მის მეუფეთაჲსა, სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისაჲ. სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა“ (ქქალძ, 26, 28—32). აქ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა შუშანიკის ამ სიტყვებში გატარებული იდეა მამაკაცისა და დედაკაცის თანაბრად განსჯის სმშუალების (ზეციური სამართლის) არსებობის შესახებ. მისი სიტყვები, გადმოცემული ნაწარმოების ავტორის — იაკობ ხუცესის მიერ „სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისაჲ“, ეხმაურება პავლე მოციქულის სიტყვებს ეპისტოლეში გალატელთა მიმართ. „არა არს პურიება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება. არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, რამეთუ თქუნ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუმს მიერ“.<sup>4</sup>

4. „ძეგლის მეგობარი“ № 58, 1981 წ.



დაქის იარაღი.

Орудие наказания.

ამრიგად, იდეამ მამაკაცისა და ქალის თანასწორობის შესახებ, რომლის დასაბამს საღმრთო წერილში ვპოულობთ და რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის უმაღლესი აყვავების პერიოდში (XII—XIII სს.) წამყვან საზოგადოებრივ შეხედულებას წარმოადგენდა, დასრულებული გამოხატვა „ვეფხისტყაოსანში“ მიიღო, („ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა — ხვადია“), ქართულ მწერლობაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში უკვე „შუშანიკის ნამებაშია“ ჩასახული და შუშანიკის ზემოთ მოყვანილ სიტყვებში ჩანს, ოღონდ ამჟერად ამ იდეის განხორციელების შესაძლებლობა გადატანილია იმ ქვეყნად.

„ევესტათი მცხეთელის მარტვილობის“ ზემოთმოყვანილი ამონაწერიდან, აგრეთვე ამ ნაწარმოების სხვა ადგილებიდან ჩანს, რომ იმ დროს საქართველოში სპარსელების მიერ, ქედზე ჯაჭვის დადებისა და ბორკილების შებმის გარდა შემოღებული იყო დასჯის სხვა ფორმებიც: თავის დაწვერის დაყუნა (ანუ მოპარსვა), ცხვირის გახერცება, პირის ცემა. არვინდ გუშნასჰმა, ქართლის მარზპანმაო — გადმოგცემს მარტვილობის ავტორი, „უბრძანა მსახურთა თჳსთა პირისა ცემა ნეტართა მათ“ (ქქალძ, 336) — ქრისტიანობაზე მოქცეულ სპარსელებსო.

დამნაშავეის დაპატიმრების, მისი დაჭერისა და ამ მდგომარეობაში ყოფნას, როგორც „ევესტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ ჩანს, „პყრობილება“ ეწოდებოდა: „ამისა კაცისა პატიყი მე არარაა კელ-მწნიფების, არცა აღბმად ძელსა, არცა პყრობილებაა-ო (ქქალძ 32. 8 — ამბობს მცხე-



თის ციხისთავი უსტამი და ევსტათის და სხვა ქრისტიანობაზე მოქცეულ  
სპარსელებს თბილისს გაგზავნის.

„კოსტანტი კახის“ მარტვილობიდან კი ჩანს, რომ დამნაშავეს, პატი-  
მარს „საპყრობილესი“ მოათავსებენ. ჯაფარის, თბილისის ამირის, ბრძა-  
ნებით კოსტანტი ჩასვეს „საპყრობილესა ფიცხელსა“ (ქქალძე, 169. 5—6),  
სადაც მას მიუჩინეს ორი სომეხი ერისთავი, რომლებსაც რჯული (ქრის-  
ტიანობა) უარუყვიათ, ემსახურებოდნენ ჯაფარს და ცდილობდნენ კოსტან-  
ტის გადაბირებასაც. (ქქალძე, 169 5—15).

საინტერესოა, რომ გარდა ჯაჭვის ქედზე დადებისა, შეპყრობილი ადა-  
მიანის რკინის საკრველით“ შეკვრაც სცოდნიათ. კოსტანტი — კახის შე-  
სახებ მის მარტვილობაში აღნიშნულია, რომ იგი, „შეკრეს ფიცხელითა  
საკრველითა რკინისაჲთა და წარსცეს იგი ქუეყნად ბაბილოვნისა, ქალაქ-  
სა, რომელსა პრქვან სამარაჲ“ (ქქალძე, 168 9—11).

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“, ისიც ჩანს, რომ დასჯის  
ერთ-ერთი ფორმა ყოფილა „ძელსა აღმაჲ“.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი დასჯის ფორმები ფიზიკურ სასჯელს გა-  
ნეკუთვნება. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც იმავე წერილობითი წყარო-  
ები მოწმობენ, არსებობდა გამანობილებელი სასჯელიც — ვირზე შესმა და  
შეიძლება მასვე მივაკუთვნოთ ზემოდასახელებული თავისა და წვერის  
მოპარსვა.

„შუშანიკის წამებიდან“ ჩანს, რომ ქმრის მიერ ცოლის დასჯის ერთ-  
ერთი ზომაა მისი გასახლება, მკვლევართა ერთი ნაწილის შეხედულებით  
— მისი მშობლების სახლში უკან დაბრუნება. ვარსკენი შუშანიკს ემოქ-  
რებოდა თუ „ტაძრად“ (ე. ი. სამთაერო სახლში) არ მოხვალ, „ჩორდ წარ-  
გვი შენ ანუ კარად კარაულითა“ (ქქალძე, 24 2—3) გამოდის, რომ ვარსკენი  
შუშანიკს კარაულით ე. ი. სახედარზე შესმით გაგზავნას ემოქრებოდა. ნა-  
წარმოების ამ ეპიზოდში მინიშნებულია, შეიძლება ითქვას, დადასტუ-  
რებულია ჩვენი წარსული ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის ცნობი-  
ლი ფაქტი — ქმრისაგან უარყოფილი ცოლის მშობლების სახლში დაბ-  
რუნება სახედარზე შესმით.

ცნობილია, რომ სახედარზე, ანუ ვირზე შესმა შუა საუკუნეებში მი-  
ღებული იყო, როგორც დასჯის, გამანობილებელი სასჯელის ერთ-ერთი სა-  
ხე. ის ცნობილი იყო ბიზანტიელთა ყოფისათვის და ქართული სინამდვი-  
ლისთვისაც. ასე მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში „სა-  
მართალი ბერძულის“ მიხედვით ვირზე შესმა არის დასჯის ერთ-ერთი  
სახე სხვადასხვა დანაშაულისათვის: მოსამართლის მიერ უსჯულის კა-  
ნონი სამართლის ქმნისათვის (მუხ. 2), მსაჯულის გინებისათვის (მუხ. 56),  
წამლის მიცემით დედაკაცის მუცელში შვილის მოკვლისათვის (მუხ. 77)  
და სხვ.<sup>6</sup> ვირზე შესმას გამანობილებელ სასჯელად მიიჩნევენ აკად. ი. დო-  
ლიძე.<sup>7</sup> ვირზე უკულმა შესმამ და ასეთი სახით სოფელ-სოფელ ჩამოტარე-  
ბამ, როგორც ქმრის მოღალატე ცოლის დასჯის, მისი განზილების ფორმამ  
ასახვა პპოვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

„პერანგა ქალი უკულმა შეესვათ ვირზე...“

ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლა, ეტყობოდა, სციო-



და, სცხელოდა და იგმირებოდა, ალბათ, ენატრებოდა სიკვდილს, სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!

იმნამს იგი ათჯერ მოკვდა ისევ ათჯერ ძალით აცოცხლებდნენ!..

თრთოდნენ ქალის ანგელოზი მხრები და ბრბო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე, რომელსაც თანდათან ფერი ეკარგებოდა.<sup>8</sup>

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახის სასჯელს ასევე სხვაგანაც ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებში. კერძოდ XI საუკუნის საისტორიო თხზულებაში „მატიანე ქართლისა“—ში აღნიშნულია, რომ ისაკ ტოლობელის ძემ, მესხმა აზნაურმა, „დაიჭირა კელითა და გასუა ჯორსა ფადლონ“ თბილისის ამირა, ამის წინ კი მოთხრობილია, რომ მან გაძარცვა ერი ფადლონისა და გარდაყარა ისინი ცხენებიდან.

ამრიგად, როგორც ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან ჩანს, ადრე შუასაუკუნეების საქართველოში გავრცელებული ყოფილა დასჯის შემდეგი ფორმები: 1. ქედზე ჯაჭვის დადება. 2. ფეხებზე ბორკილის შებმა 3. თავისა და წვერის გადაპარსვა 4. ცხვირის გახვერცხვა 5. ძელსა ალბმა 6. პირის ცემა. 7. პერობილება 8. შეკვრა<sup>9</sup> საკრველითა რკინისა<sup>10</sup>თა. 9. სახედარზე გასმა 10. გასახლება.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფ., 1929, გვ. 515.  
 2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1ბ, გვ. 106.  
 3 ბ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 23.  
 4 გალ. 3, 28 იხ. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ეურსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1974, გვ. 233.  
 6 ქართული სამართლის ძეგლები, I. ეხტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1963.  
 7 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 231.  
 8 გ. ლეონიძე, მარტა, იხ. მისი ნატერის ხე, ყრობის მოგონებები, თბ., 1962, გვ. 258-259.  
 9 მატანე ქართლისა, ქ—ცა, I, 312. 2.  
 10 ძქალძ — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, 1964.



სვანური ქუდი.

Сванская шапка.

ციალა ბაზარაშვილი

### სვანური ქუდი

ქართული ტრადიციული ტანსაცმლიდან „სვანურის“ სახელწოდებით ცნობილი ნაბდის ქუდი ჩაცმულობის ისეთი ელემენტი გამოდგა, რომელმაც გაუძლო თავსაბურავის ფორმათა მონაცვლეობას, და დღესაც, თანამედროვე ყოფაში, არ დაუკარგავს ფუნქცია. ეს მართლაც მოხდენილი თავსამკაული, თუშურ ქუდთან ერთად, ისეთი მოხერხებული ფორმაა — ზამთარში თბილი, ზაფხულში მზის მხურვალეებისაგან თავის დამცველი და ამასთანავე ეროვნული, რომ გვეჯერა, დროის გამოცდას მომავალშიაც გაუძლებს.

წლის ყოველი სეზონის დროს ერთნაირად მოხმარებული სვანური და თუშური ქუდების გავრცელების არე ძველად მკვეთრად იყო შემოსაზღვრული, პირველი დასავლეთ საქართველოს ფარგლებით, მეორე აღმოსავლეთ საქართველოთი. მათი გავრცელების მასიური ხასიათი კი იმის მანიშნებელია, რომ წარსულში მრავალი ქალი იცნობდა და ზოგიერთი კარგადაც ფლობდა ქუდების დამზადების ხალხურ ტექნოლოგიას.

სვანურ ქუდს სვანეთის გარდა საქართველოს სხვა კუთხეში მცხოვ-



რები ქალებიც ამზადებენ, მაგრამ მათ ნახელავში სვანი ქალის ნოსტა-ტარს ეძლევა უპირატესობა, როგორც საუკეთესო მასალის, ასევე, დამზადების კარგი ხარისხის გამოც.<sup>1</sup>

სვანური ქუდის მასალად ცხერის მატყლის საგანგებო შერჩევაა საჭირო. „ღარიბი“ ცხერის მატყლი სუსტია და ძაგარასავით სქელი. „მდიდრად“ დანმენდილსა და უკრავლო ცხვარს თვლიან. ასეთი ცხერის ზურგისა და ფერდებიდან აღებული მატყლი საუკეთესოადაა მიჩნეული. ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოტანილ მატყლს განსხვავებული დანიშნულებით იყენებდნენ: ზოგი მატყლი საქუდედ იყო კარგი, ზოგი მოსაქსოვად და ლოგინის გასაწყობად. ასე მაგალითად, სამეგრელოდან მოტანილი წმინდა და გრძელბუნვიანი მატყლი ჩხირებში საქსოვად იყო გამოყენებული, ოსეთიდან შემოტანილი საბნებში ჩასაწყობად; ლეჩხუმისა და სვანეთის მატყლი ცნობილი იყო როგორც საუკეთესო მასალა, სვანური ქუდების დასამზადებლად. ეს უკანასკნელი, მთხრობელის გადმოცემით, „შვერშია“ — მსხვილბუნვა და მოკლე. ცხვარს წელიწადში სამჯერ პარსავდნენ. პირველ ნაპარსს იღებდნენ ფეხგასულზე, ცხრა მარტის მერე. ეს მატყლი ზამთარგამოვილია და ამიტომ თებოიანი. მეორე ნაპარსი კვირიკობის თვისაა, მას „ნამაშარი“ ჰქვია და დაბუმბულეებული და ნაზარდი მატყლი იცის. მესამე ნაპარსს „ნალოკს“ ეძახიან. მთხრობელთა დაკვირვებით დასამუშაველად ყველას წიფობის თვეში მიღებული მატყლი სჯობია. პირველ ნაპარსიდან მიღებული ძაფი წინდა-პაჭიჭების საქსოვად იყო კარგი, მეორე ნაპარსის ძაფი საქუდედ და ნახ-ფარდაგების მოსაქსოვად, შემოდგომის მატყლის ძაფიდან კი საქსოვ დაზგებში შალის ქსოვილებს ამზადებდნენ. ისე დასაქსელად „ნალოკის“ ძაფს ამჯობინებდნენ და მისასხამად კი გაზაფხულის ნაპარსს. თვლიან, რომ საყაბალახედ საუკეთესო მასალა — „კრაველი“ საქუდედ არ გამოდგება, რადგან ეს მატყლი კარგად არ ითელება.

სვანური ქუდის მასალად სამი კვერცხის წონა ე. ი. 150 გრამი მატყლია საჭირო. გამოცდილ ოსტატს აწონვაც არ დასჭირდება, იგი ორ მუჭში მომწყვედულ მატყლს ივარაუდებს. ქუდის დამზადება რამდენიმე საათშიც მოხერხდება, მაგრამ თუ ყველა წესებს ზუსტად დაიცავენ და ქუდსაც კალაპოტზე გაშრობას დააცდიან, შეიძლება ერთი ქუდის დამზადებაზე ორი დღეც დასაქმდნენ.

სვანური ქუდი ტრადიციულად ნაცრისფერია, რომლის მრავალ ტონალობას შერეული მატყლის შეფარდება იწვევს. კარგი ნაცრისფერი რომ გამოვიდეს — „ქისონი“, რასაც ლეჩხუმ-სვანეთში დიდი მოწონება და გასაუადიცი აქვს, ორი წილი თეთრი და ერთი წილი შავი მატყლი უნდა შეურიონ ერთმანეთს. თუ უფრო ჩამუქებული ფერის მიღება სურთ, მაშინ შავი მატყლის ზომა უნდა გაიზარდოს. შავი ქუდი მხოლოდ მგლოვიარეთ ახურავთ.

სვანური ქუდის დასამზადებლად იყენებდნენ უბრალო ხელსაწყო-იარაღებს: წის პატარა მაგიდას ან ფიცრებს მატყლის შესათელად და მალალ ფეხზე შემდგარ სოკოს ფორმის ხის კალაპოტს, რომელსაც ადგილობრივ ამზადებდნენ თხმელისა და წიფლის ხეებისაგან.

ქუდის დამზადება შემდეგი თანმიმდევრული პროცესის შესრულებას ითვალისწინებს. ჯერ მატყლს დანუნავენ და დაჩეჩვის დროს ფერებს ერთმანეთში შეურევენ. თუ სადმე გრძელი ბენვი გამოჩნდა იმის შექრაც ცილებელია.

პატარა ხის მაგიდაზე ნახმარ თავსაფარს ან ქსოვილის ნაჭერს გადააფენენ, რომელიც წინასწარ დასველებული აქვთ. ზედ სამი მტკაველის სიგრძე-სიგანით გარჩეულ მატყლს სამ ფენად დააწყობენ იმგვარად, რომ კარგი მატყლი აუცილებლად გარე ფენაში მოხვდეს. მატყლდაფენილ ნაჭერს მერე ბარათივით დაკეცავენ, ისე რომ შუაგული ღიად დარჩეს და გრძელ ჯოხზე გადაახვევენ დასახელად. ზეღვის დროს ბევრჯერ გახსნიან თბილი წყლის დასახმელად. მაგრამ ვიდრე წყლის დასხმას დაიწყებდნენ მანამდეც უნდა ზელვა, რომ მატყლი „შეგუვდეს“. თუ მატყლი სუფთაა საპნით გარეცხვა არ არის აუცილებელი, თუ ქუჭყიანია, როცა ნარეცხი წყალი დაინმინდება, საპნის ნასმას თავს დაანებებენ. ნაბადის ქუდად ამოლუნვის მერე თბილ წყალს ცხელით შეცვლიან. გადახვევის დროს ხშირად აბრუნებენ. როცა გახსნის დროს ნახავენ, რომ აღებულმა ზომამ მტკავლით მოიკლო, ამოლუნვას დაიწყებენ. ნაჭერს ჯოხს გამოაცვლიან, მოთელილს ერთი წვერისაკენ ამოლუნავენ და ნაჭრით ისევ გადაახვევენ: ჯერ ორად გადაკეცავენ, მერე სამად შეახვევენ და ხელით დააგორებენ. ამ პროცესის დროს რამდენჯერმე შეასხამენ ცხელ წყალს. ზეღვის დამთავრების მერე ნაბადს კალაპოტზე გადასჭიმავენ; თუ ნაბადის ნაჭერი კალაპოტს არ მოერგო, სიდიდის შემთხვევაში ისევ დაზელვაა საჭირო, სიპატარავის დროს კი ცხელ წყალში დაჭიმვა. მერე ნაბადს გაპარსავენ.

ქუდის შესამკობად იყენებენ აბრეშუმის სირმებს და ძირითადად კი ბამბის ძაფის ყაითანს, რომლის მქსოველადაც ხშირად ქუდის მკეთებელი ქალი გვევლინება. ყაითანისათვის ორი მსხვილი — შვიდწვერა ძაფის შეგრეხაა საჭირო. ზოგი ოსტატი ქუდის ნაპირებს მხოლოდ „ამაშინებს“ ზოგი პირდაპირ ნაპირს შემოაყოლებს ყაითანს და ზედ საკერავი მანქანით დაამაგრებს. ნაპირსმოვლებულ ყაითანს გადაზომავენ და შუაში განასკვავენ, მერე გადაჯვარავენ. დასამაგრებლად კოჭის ძაფისავე გრეხილს ხმარობენ, რომელიც ქუდის შიგნითა მხრიდან მაგრდება და ბოლოში ფერადი ძაფის ფოჩით მთავრდება; როცა აბრეშუმის სირმით უნდათ მორთვა, მაშინ ამ შესამკობს ნაპირიდან გოჯის დაცილებით შეამოავლენ.

ქართული ხალხური ხელოსნობის ნიმუშებით დაინტერესებულ პირებს თავიდანვე შეუძინველი არ დარჩენიათ თანამედროვე ყოფაში სვანური ქუდის დანერგვის საკითხი. დღიდან დაინტერესებისა სვანური ქუდის მრავალი ნიმუში ჩნდება „სოლანის“ მაღაზიებში და მყიდველიც გამოუღვეელი ჰყავს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე, ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, დღეს დამზადებულიც კვლავ მოითხოვს სრულყოფას.

1 1980 წლის ლეჩხუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ტ. № 2, გვ. 8-13. მხრობელი პელაგია იასონის ასული ლიპარტელიანი-ჩარქსელიანისა, 66 წ. (ს. ფაყიდან გადაღებული და ამჟამად ცაგერში მცხოვრები).



1. ურთის ანსამბლი.

მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა გამოვლინება-დაცვისა და გამოყენების საქმე ინტერესმოკლებული არასდროს ყოფილა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის, მაგრამ ამ დიდ, ეროვნულ საქმესთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობის მიერ კანონის დაწესების შემდეგ კოლხეთის მხარეშიც ინტენსიური მუშაობა დაიწყო შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ექსპედიციებმა; გამოვლინდა დიდმნიშვნელოვანი მასალები ვანში, ნოქალაქევიში, ურეკში, ენგურის აუზში და სხვაგან. აღნიშნული ექსპედიციების შედეგებთან ერთად პრესაში სისტემატურად ქვეყნდება წერილები შორეულ წარსულიდან მომდინარე საგოგრაფო სახელთა წარმომავლობის შესახებ. ამ სტატიაში, უწინარეს, საკითხი ეხება ურთის ანსამბლს (ურთა, ჯეგეთა, ცაიში).

ურთა ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე მოქცეული მთა-გორაკების დაბოლოებას წარმოადგენს და გადაჰყურებს კოლხეთის დაბლობს, რომლის სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთის კალთებზე შეფენილია ხეთა-აბასთუმნის ციტრუსოვანი და სუბტროპიკული მცენარეთა პლანტაციები. ურთის თხემი და მისი მიმდებარე ბორცვები ხშირი ტყითაა დაბურული. აქაა ცაიშის ცნობილი ტაძარი, შეინიშნება უძველეს სამლოცველოთა ნანგრევები და პალატები.

აღნიშნული საგოგრაფო სახელები (ჯეგეთა, ურთა, ცაიში) შორეული წარსულიდან მომდინარეობს და მათი მნიშვნელობის ამოცნობა თანამედროვეთათვის საინტერესო გახდა. მისი გარკვევა სცადეს ჩვენმა სწავლულებმა; რამდენიმე კორესპონდენცია გამოქვეყნდა კიდეც (იხ. გაზეთი „მებრძოლი“ 1979 წ. № 74, და 1979 წ. № 131, ავტორები — მ. პაჭკორია, ჯ. როგავა, ა. ბოზუა). ავტორები ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ახლო მოვიდნენ საკითხის გაგებასთან (მ. პაჭკორია, ჯ. როგავა), მაგრამ საჭირო და მიზანსწრაფული უფრო ის იქნება, რომ ასეთ საკითხებზე მსჯელობის დროს დავეყრდნობით დიდ მეცნიერთა გამოცდილებას (ალ. ცაგარელის, ი. ყიფშიძის, ივ. ჯავახიშვილის და სხვა), შესაბამისი პერიოდის ლექს-სიმღერებს, არქეოლოგიურ მასალას, ისტორიულ წყაროებს და ენობრივ მონაცემებს.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებით დასტურდება, ზემოთ დასახელებული საგოგრაფო სახელების უმეტესობა წარმართული ხანის ღვთაებათა სახელით ცნობილი სალოცავი ადგილები უნდა ყოფილიყო. ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების დროიდან ძველი ღვთაებანი ახალმა ღვთაებებმა შეცვალეს. ახალი სარწმუნოების მესვეურებს დაუმსხვ-





რევიათ წარმართობის კერპები და უმეტეს შემთხვევაში იმავე ადგილებზე შეუქმნიათ ახალ ღვთაებათა სალოცავები. ამიტომ ასეთ ადგილებს შემოქმედებულა ძველი ღვთაებათა სახელწოდებანიც ახალი სახელის დაწესებით და დღეს ორივე ერთად მოიხსენიება; მაგ. ურთის წმ. გიორგი, ცაიშის ღვთისმშობელი, ქიაჩის მთავარანგელოზი და სხვ. სწორედ ეს ნათესაობითი მდგარი სახელები განსაზღვრებად — ურთის, ცაიშის, ქიაჩის — გახლავთ წარმართული ხანის ღვთაებათა სახელები, რომლებიც პირველადი სახელებია ამ ადგილებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ხაზი გავსვას იმასაც თუ რომელ ქვეყნებში შექმნა უძველესი ღვთაებათა კერპებისა და შემდეგი დროის ღვთაებათა სალოცავები და როგორ გავრცელდა ან დაწესდა ქართველ ტომებში. ამის შესახებ ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მთვარე მთავარ ღვთაებად ასურელებისა და ქარანელების ან საბიელთა სარწმუნოებაში ითვლებოდა. მას „სინს“ ეძახდნენ და ქვეყნიერების მბრძანებლად თვლიდნენ. სარწმუნოა მეტადრე ის, რომ ამ ორთავე ხალხის შეხედულებითაც მთვარე მამაკაცად ითვლებოდა. შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქარანელების, ანუ საბიელთა და ქართველების უძველეს სარწმუნოებათა შორის სხვა მხრივაც დიდი მსგავსება არსებობს“<sup>1</sup>.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს აგრეთვე მნათობთა სახელების მიხედვით დაწესებული სალოცავი ადგილებისა და რიგ გეოგრაფიულ სახელთა ერთგვარობა, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე ქართველ ტომებში; მაგალითად მთვარე ღვთაების თაყვანისცემის საფუძველზე უნდა იყოს წარმოქმნილი სახელწოდება მდინარისა — „სინ-წა“<sup>2</sup>, ო „სინ“ დაღუპ, ისე როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში — სინას მთა, სინას ნახევარკუნძული, და შუმერთა მთვარის ქალაქი — ურა-ური; ასევეა სამცხეში და კოლხეთში მთა ურთას სახელიც. სრული დამთხვევა ასურელთა მეჯოგეობის ღვთაების (ჯეგე მისარონის) ასურელი სალოცავი ადგილის — „ჯეგეთასა“ და ურთის მთაზე არსებულ სალოცავი ადგილის — ჯუ-მეთას შორის.

ენობრივი ფორმის მიხედვით მთის სახელი „ურთა“ ემთხვევა მეგრულ ზმნა „ურთას“ ან დოურთას (ატრიალებ ან დავატრიალებ) ფორმას; აგრეთვე მეორე სიტყვასაც — „ურთ ს“, რაც განუყოფელს ნიშნავს მეგრულში. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ამ სახელწოდებით საგეოგრაფო სახელი (ურთა) ცნობილია სამხრეთ საქართველოშიც — თურქეთის ახლანდელ ტერიტორიაზე; ერუშეთის სიახლოვეს — ტბა ჩილდირის (პალაკაციოა); სანაპიროზე და თეთრ ეგვიპტეშიც (ურა-ური), რაც შუამდინარეთში მთვარე ღვთაების („სინას“) ქალაქად იყო აღიარებული<sup>3</sup>.

ეს ადგილები რუკაზე ჯვრითაა აღნიშნული, რაც დიდმნიშვნელოვან სა-მლოცველოს არსებობაზე მიუთითებს. ამდენად ენობრივი მონაცემებით სახელწოდება ურთა არ შეესაბამება მეგრულ ზმნა „ურთას“ არც „ურთ-ას“ მნიშვნელობას და შორს დგას ა. ბოზუას შეხედულებისაგან, იმითაც კი, რომ მეგრული ურთა (ვატრიალებ, ან დავატრიალებ) ზმნა და საგნის სახელი ზმნით არ აღინიშნება. როგორც ვთქვით ეს სახელი „ურა“ ანუ „ური“ მთვარე ღვთაების ქალაქს ნიშნავს შუმერულ ენაზე, რომელიც ქართველურ



ენებში „თა“ სუფიქსის დართვითაა წარმოებული — ურ(ა)თა, რაც მთვარე ღვთაების სამყოფზე მიუთითებს, ვინაიდან „ქართველურ ენებში, ყოველ სუფიქსი მრავლობით ფორმასთან ერთად ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელებშიც საგვარეულოს მკვიდრ სამყოფს აღნიშნავს; მაგ. გოგოლაურთა, წინამძღვარიანთა, ცაბაურთა და სხვა“<sup>5</sup>.

სუფიქსისეული „ა“-ს გავლენით ძირეული ბოლო ხმოვანი „ა“-ს შეკვეციტ დაგვრჩებოდა ურთა. ამ ადგილზე მთვარე ღვთაების კერპის აღმოჩენა (იხ. ვაზ. მებრძოლი 1967 წ. № 11) და ჩვენში შესაბამისი პერიოდის ლექს-სიმღერები მთვარეზე, ასევე ისტორიული წყაროები ნათლად ადასტურებს წარმართულ პერიოდში მთვარე ღვთაების სამლოცველო-სა და კერპის ამ ადგილზე არსებობას; აგრეთვე ისიც, რომ მთვარე ღვთაების უარყოფის შემდეგ (ქრისტიანობის შემოღების შემდეგ), უმეტეს ადგილებში მთვარე ღვთაების ადგილი დაიკავა წმინდა გიორგის სამლოცველოებმა; ეს მოვლენა თანხვედრილია ამ ადგილზეც, რომელსაც უწოდებდნენ ურთის ჯეგე (წმ) გიორგის.

ეს მასალები საშუალებას გვაძლევს ვირწმუნოთ, რომ საგეოგრაფო სახელი ურთა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად აქაც მთვარეღვთაების სამყოფს აღნიშნავდა;

ასევე ცაიშ-ურთის მიდამოებში მზე-ღვთაების (მზე — დედა ღვთაების) კერპის აღმოჩენა<sup>6</sup>, აქ წარმართობის ხანაში მზე ღვთაების სამლოცველოს არსებობაზე მიუთითებს და ვფიქრობთ იდგა იქ, სადაც ამჟამად ცაიშის ღვთისმშობლის ეკლესია დგას, ან მის ზემოუბანზე, რომელსაც ციონს ეძახიან. ამ საკითხზე ისტორიული წყაროების მიხედვით, სარწმუნო მოსაზრებები გამოთქვეს მკვლევარებმა — მ. პაჭკორიამ და ჯ. როგავამ, — ცაიშიცა ღვთაების სახელად მიიჩნიეს. ჩვენი გაგებით, ვინაიდან ციურ-ღვთაებათა შორის ყველაზე მთავარ ღვთაებად (მთვარესთან ერთად) მზე-ღვთაება ითვლებოდა, მისი კერპი აქ მდგარა და ამიტომ მიგვაჩნია, რომ ცაიში (ცეში) ნიშნავდას მზეღვთაებას ცისა.

სოფ ცაიშის (მეგრ. ცეშის) გარდა ც. (ც.უ) ფუძიანი სახელით მრავალი სამლოცველო პუნქტია ზუგდიდსა და მის მიმდებარე რაიონებში, მაგალითად: ც. ციონი (ურთის მთის კალთებზე). ცუდოვა (უჩაშონაში — ახ. სოფელი), ც. (...) უნაკარი (მუჯავა — ფახულანის საზღვარზე) — წალენჯიხის რ-ნი). საფიქრებელი სწორედ ისაა, რომ ამ სახელით ცნობილ ადგილებში ყველგან თვალსაჩინოდ შეიმჩნევა ქვითკირის შენობათა ნანგრევები, რომლებიც ბოლო დრომდე ხალხის სალოცავ ადგილად იყო აღიარებული; ვფიქრობთ აღნიშნულ ადგილებში შორეულ წარსულში მზე-ღვთაების სალოცავი უნდა ყოფილიყო.

ასე რომ საგეოგრაფო სახელები ცაიში (ცეში) და ურთა წარმართული პერიოდის მზე და მთვარე ღვთაების კულტთან დაკავშირებული სახელებია. რაც შეეხება ურთის თხემზე მდებარე — „ჯეგეთას“, ადრექრისტიანული პერიოდის სახელი უნდა იყოს, ვინაიდან ეს ტერმინი ჯეგე (წმინდანი) ქრისტიანობის შემდეგ გვხვდება სიტყვიერებაში. ჯეგე ტერმინს თავის შრომაში ი. ყიფშიძე *граматика мингрельского (Иверского) языка* გვ. 112.



შემდეგნაირად გავვიმარტავს „ჯეგე“ (ჯგეგე) გეგე წმინდანს ნიშნავს; ე. ი. წმინდანის ბადალი სიტყვაა. ჯეგე გიორგი (წმ. გიორგი) ჯეგე მარია (წმ. მარია), ჯეგე ხანგარამი (წმ. ხანგარამი) და სხვ., ჯეგე წმინდანის სინონიმი, ხოლო ჯეგე(თა) — თა სუფიქსით წარმოებულ საგეოგრაფო სახელი, რაც წმინდანთა სამყოფ ადგილს გამოხატავს. ეს სარწმუნოდ მიგვაჩნია იმიტომ, რომ ამ მთაზე (ურთაზე) ჯეგე გიორგის სალოცავის გარდა სამ ადგილას აღირიცხება საქონლის ღვთაების მისარონის (მეგრ. „მირსობის“) სალოცავები, რაც ჩვ. ნელთაღრცხვამდე ჯეგე (წმ) მისარონად იწოდებოდა.

როგორც ცნობილია საქონლის ღვთაება (მირსა) წარმართული ხანის ღვთაება იყო, რაც მტკიცედ შემოინახა ქრისტიანობამ. ამას ადასტურებს ქრისტიანული ეკლესიის ფასადებზე გამოსახული ორნამენტით დაშვენებული ხარის თავები. (იხ. სვეტიცხოველი, ბოლნისის სიონი, ნიკორწმინდა და სხვ.).

ადრეული პერიოდის მასალებიდან აღსანიშნავია ძვ. წ. IV-I და ჩვ. წ. I-V საუკუნეებში მოჭრილი მონეტა — კოლხური თეთრი, რომლის ერთ პირზე კაცის სახეა გამოსახული, მეორეზე ვერძის ან ხარისა, ასევე ვერძისა და ხარის ქანდაკებანი, რომელიც ინახება ზუგდიდისა და გეგეჭკორის მუზეუმებში.

მისარონის (მეგრ. „მირსობის“) სალოცავები ურთის მთაზე სამ ადგილზე აღირიცხება. ვინაიდან ჯეგე (წმინდანი), ქრისტიანობის შემდეგი ტერმინია, ზედწოდებად დაერთო ადრეულ პერიოდში ცნობილ საქონლის ღვთაებას — მისარონს და იწოდა ჯეგე (წმ.) მისარონად; ამავე დროიდან შეიქმნა (მთარე ღვთაების ნაცვლად) ჯეგე წმ. გიორგის სალოცავიც და წმინდანთა სიმრავლისა გამო იწოდა „ჯეგე (თა)“-დ, რაც დაერთო მთა ურთას ზედწოდებას. ნათლად სჩანს, რომ იგი წმინდანთა სამყოფ ადგილს აღნიშნავს; ამ სახელწოდებით, საქართველოს ფარგლებს გარეთაც — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (კერძოდ ასურეთში) ცნობილია მთა-მალღობი ჯეგეთა (სამლოცველო მეჯოგეობის ღვთაებისა). ჩვენი შეხედულებით იგი ქართული წარმოშობის სახელი უნდა იყოს, ვინაიდან წარმოებულია ქართველურ ენებისათვის დამახასიათებელი „თა“ სუფიქსით და უცვლელადაა შემორჩენილი ასურეთშიაც.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი ჩვენი დამწყები მკვლევარი შეთხზული გადმოცემებითა და მეტად გულუბრყვილო მსჯელობით ფიქრობს შესაძლებლად ესოდენ ძნელი საგეოგრაფო სახელების გარკვევას და უმეტეს შემთხვევაში წარსულის შავბედითობის მოვლენათა იქით არ უნდა დაინახოს რა. ასეთ მკვლევართა წყალობით ამ უახლეს პერიოდში მთა „სათანჯიო“ სატანჯოდ მონათლეს და მხოლოდ ახლახან შეიქმნა შესაძლებელი მისი პირვანდელი სახელის (სათანჯოს) აღდგენა. ბოლო დროს გაზ. „მებრძოლში“ (იხ. № 131 1979 წ.) მთა ურთა ადამიანთა საწამებელ ადგილადაა მიჩნეული. წერილის ავტორი (ა. ბოხუა) ეყრდნობა ძალიან უსაფუძვლო გადმოცემებს, რელიგიურ სურათებს, სადაც საბრუნებელი დასასჯელი იარაღით წმინდა გიორგის წამებაა გადმოცემული. თითქოს ასეთი საწამებელი მანქანა ყოფილიყო ურთაზეც; ურთას სახელს უკავშირ-



რებენ მეგრულ სიტყვას დოურთას (დავატრიალებ), რაც ზმნაა, როგორც ვთქვით, ზმნით არსებითი სახელი არ აღინიშნება. შეიძლება ხალხში არსებულიყო ლეგენდა ურთაზე მთვარე ან მზე ლეთაებაზე ადამიანის მსგავსად შენიღვის შესახებ, მაგრამ ასეთი აქტი სულ სხვა ფორმით ტარდებოდა და არა დასატრიალებელი სანამებელი მანქანით.



<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა ერის ისტორია, ტ. I, გვ. 60.

<sup>2</sup> მდინარე სინწა ჩაუდის ქ. ზეგდიდს აღმოსავლეთით.

<sup>3</sup> წმინდა გიორგის ეკლესია ჩხოროწყუს რაიონში. (XI ს.).

<sup>4</sup> ვ. კიკნაძე, „შუამდინარული მითოლოგია“, გვ. 35, „მეცნიერება“, 1976 წ. აკად. დიაკონოვი „მიდიის ისტორია“, გვ. 163-171; აკად. ტურავევი, „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“, გვ. 81.

<sup>5</sup> იხ. ავ. შანიძე, ქართ. ენის გრამატიკა-მორფოლოგია, თბ., 1953 წ. გვ. 138, მეგრულში უფრო გაბატონებულია ასეთივე მნიშვნელობის სუფიქსი „თი“ — ქუმათი, თეკლათი, გელათი, დანა სხვ. რაც ვილაკის სამყოფ ადგილზე ან სადგომ ბინაზე მიუთითებს.

<sup>6</sup> ეს კერპი წარმოადგენს ქვისაგან გამოთლილ ლომის თავს შუბლზე მზის გამოსახულებითა და ინახება ზეგდიდის მეზუეუმში. ამის მსგავს ემბლემად მიგვაჩნია სევანეთში შემორჩენილი ძველი დროშა „ლემ“ — ლომის გამოსახულებით.

ა. ფაილოძე

**სოფელ კინჩხის ღირსშესანიშნაობანი.**

კინჩხა წულუკიძის რაიონისა და ქვემო იმერეთის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთის სოფელია და მდებარეობს ლეჩხუმ-სამეგრელოს საზღვარზე. ეს კეთილმოწყობილი სოფელი (ზღვის დონიდან 1 კილომეტრზე) გაშლილ ბორცვებზე და გორაკებზეა გაშენებული და შეიცავს ექვს კუთხეს: ქვედა კინჩხას, ზედა კინჩხას, კინჩხა ფერდს, სანისქვილოს, ლეხუმს და რონდიშს. ჩრდილო დასავლეთიდან სოფელს თავს დაჰყურებს ზღაპრული სილამაზის მთები და კლდე „კლდეიდა“. კინჩხის ტყეები — განსაკუთრებით „კუთხის ტყე“ გამოირჩევა მდიდარი ფლორით და ფაუნით. სასოფლო საბჭოს ტერიტორია უშუალოდ ეკერის და აერთიანებს ასხის მთის ალპური საძოვრების ნაწილს, რომელიც ხასიათდება კარსტული მღვიმეების სიუხვით. აქედან იღებს სათავეს მთის მდინარე ოკაცე, ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი, რომელიც გაედინება კინჩხისა და გორდის ტერიტორიაზე და ქმნის შესანიშნავ კანიონს, რომლის სიგრძე 16 კილომეტრია, ხოლო სიგანე 3-6 მეტრიდან 15-20 მეტრამდე მერყეობს. როცა კანიონის სიღრმე 50-100 მეტრია, აქ მდინარე ქმნის ხელოვნურ ტბებს და ვარდება რამდენიმე ჩანჩქერად. მდინარეზე გადებულია ბუნებრივი ხიდი „ქვახიდა“. ერთი ტბის სიგრძე 60 მეტრია. კანიონში ორი მღვიმეა, რომლიდანაც მოედინება კარსტული წყლები, რაც იმის ნიშანია, რომ აქ სხვა გამოქვაბულებიც უნდა იყოს. ლასტისაგან გაკეთებული ბოგირის ქვეშ იწყება შავბნელი კლდეკარი, რომლის ფსკერზეც აქაფებული ოკაცე მიედინება. ამ ბუნებრივ წარმოქმნას პროფ. ლევან მარუაშვილის ვარაუდით 1 მილიონი წლის ისტორია აქვს.

სოფელი კინჩხა ძალზე საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით, აქ 26-გვარის წარმომადგენელი ცხოვრობს და ვხვდებით რამდენიმე დიალექტს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სოფელი სხვადასხვა მხრიდან მოსული ხალხითაა დასახლებული. ჩვენი მუზეუმის ექსპედიციამ აღნიშნულ სოფელში შეკრიბა 350-მდე ტოპონიმი, მათ შორის ბევრი ძალზე საინტერესოა და დანერღვებით შესწავლას საჭიროებს.

კინჩხა საინტერესოა ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით. სოფლის ერთ განაპირა მხარეს „კადარში“ ჩაღრმავებულ ადგილას მდებარეობს „წმინდალიანის“ ხელოვნური გამოქვაბული. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, იქვე მღვიმის მახლობლად სპილენძს ამტკერებდნენ, მღვიმე 15 მეტრის სიღრმეზე ორად იყოფა, ერთი სამხრეთისაკენ, მეორე კი აღმოსავლეთისაკენ. გამოქვაბულის გამოსასვლელთან შეინიშნება დიდი რაოდენობის წიდა (ნადნობის შლაკი), ცხადია მას ადგილზე ამტკერებდნენ, აღნობდნენ, რაზეც მიუთითებდა 1925 წლის № 150 გაზეთი „წითელი ვარსკვლავი“ და ამავე გაზეთის № 179-ე, აგრეთვე 1941 წლის № 18 გაზეთი



„დამკვრელი“. სპილენძის მეტალურგიის კერები შეინიშნება აგრეთვე კინჩხის სხვა უბნებშიც „ახოში“ და „ღვალბაჯანაში“, სადაც დიდი რაოდენობითაა კერამიკის ნამსხვრევები და წიდა.

1941 წელს კინჩხის მცხოვრებმა გ. კუხალაშვილმა ხენისას მინიდან ამოაგდო მ-ფუთიანი სპილენძის ზოდი (გაზეთი დამკვრელი, 1941 წლის № 18), ამ რამოდენიმე წლის წინ მ. გედენიძემ ასევე შემთხვევით იპოვა მცირე ზომის სპილენძის ზოდი. აღნიშნული ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ კინჩხაში მეტალურგიის რამდენიმე კერა არსებულა.

არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ნაეკლესიარი გორა (ხოჩოლზე), გაზეთი „ნითელვარსკვლავი“ (1925 წლის № 150) წერდა, რომ აღნიშნულ ადგილზე მეორდება ძველი ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტები. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ გორას დიდკაცის სასაფლაოზე აღმართულ მინაზვინულად თვლიან. ამ მიდამოებში ხშირია მძივების, ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის სხვა ძეგლებისა და ადამიანის ძვლების შემთხვევითი აღმოჩენა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ ადგილას სამაროვანი უნდა იყოს. (1925 წლის № 179 გაზეთი „ნითელვარსკვლავი“).

1926 წელს აღნიშნულ ადგილზე გლეხმა კუხალაშვილმა ხენის დროს ნახა თიხის დოქი და ადამიანის თავის ქალა. მიწის გაშლის დროს გამოჩნდა მძივები და ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც მაჯის ძვლებზე ბრინჯაოს სამაჯურები ქონდა. იყო აგრეთვე სხვა საინტერესო ნივთებიც, რომელიც ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადაეცა. მეტად საინტერესო იყო კუხალაშვილის მიერ ნაპოვნი ბრინჯაოს ვერძი დახვეული რქით, რომელიც სამწუხაროდ დაკარგულია, აქვე აღმოჩნდა ლითონის რქიანი კაცის (ჯილოსანის) ქანდაკება, რომელიც თემ-აღმასკომის თავმჯდომარეს გადაუცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმისათვის, (იხ. 1926 წლის № 170 გაზეთი „კომუნისტი“).

კინჩხაში აღმოჩენილია ანტიკური ხანის აკის ცნობილი ოქროს მონეტა, რომელიც თბილისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება, მეორე მისი ბადალი, ნაპოვნი ტრაპიზონში, პარიზის ლუერშია დაცული და თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნით.

აქვე აღმოჩენილია ბრინჯაოს კოლხური ცული. (თბილისის სახელმწიფო მუზეუმი № 16-29). 1978 წელს ტრაქტორისტმა გ. ჩხეიძემ, კერამიკასთან ერთად, ნაეკლესიარ გორაზე (ეკლესიანი) შემთხვევით იპოვა დიდი ზომის რკინის ოდესური სწორი მახვილი (ინახება წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). აღნიშნულ გორაზე ხშირია სხვა აღმოჩენებიც.

მეტად საინტერესო ძეგლია კიბულა, უზარმაზარი კლდით შემოზღუდული ველი ოდესლაც ნაქალაქარი ან ნაციხარი იყო. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კიბულას ვეებერთელა ქვებითა და დულაბით ნაგები 2-3 მეტრის სისქისა და 10 მეტრის სიმაღლის გალავანი აკრავს მდი-



ნარე ოკაცემდე, ციხე-სიმაგრე ჩრდილო აღმოსავლეთიდან 150 მმ-იანე, ყველა ნუსეი ხის ფარული წყალსადენით მარაგდებოდა (ორი ასეთი მილი დაცულაჲს შტეიქონიქა ზეუმში). ამ ციხე-ქალაქს ასი ჰექტარი უჭირავს და შიგ მოხვედრა შეიძლება სამხრეთით — კლდეში გაჭრილი ვიწრო კარით, სადაც ძველად რკინისა ჭიშკარი ეკიდა. შემორჩენილია შენობის ნანგრევი, რომელსაც დაახლოებით ორასი კვმ და 10 მ სიმაღლის პატარა ბორცვი წარმოუქმნია, აქ გვხვდება ტოპონიმები: ციხის კარი, ნადარბაზევი, გალავანი და სხვა. ტ. კუხალაშვილის გადმოცემით ამ ადგილზე ხშირად ნახულობდნენ თიხის ქურჭლის ნამსხვრევებს, მძივებს და ძვირფასეულობასაც კი.

ფოლკლორი ადასტურებს, რომ კიბულა თურქებმა საგან, საცავი სახიზარი ყოფილა და მტერს იგი ვერასოდეს აუღია. ჩვენი დაკვირვებით კიბულა თურქთა შემოსევებამდე არსებობდა. ანტიკური ხანის ციხე-ქალაქი ხონოგურისი დასავლეთ ლაზიკის აღმოსავლეთ საზღვართან, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეციცხაიმდე მდებარეობდა.

კიბულა სამხრეთ ფერდობის კალთაზე მდებარეობს ტარეშში, იგი უძველესი საკულტო სარიტუალო ადგილია. აქ არის ძველთაძველი ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც ჰქონია ღრმა ჭა, მის ქვემოთ კი არის თაღოვანი, (სიგრძით 7 მ. და სიმაღლით 190 სმ-იანი) ეკედერი, რომლის ფართობი 12 კვ. მეტრია. ეკედერის ბოლო ჩამოქცეულია, ხოლო ჯვრის ტიპზე განლაგებული 4 ქვის სარკოფაგი გაძარცულია. მცხოვრებთა გადმოცემით ეკედერში დიდკაცები იმარხებოდნენ. სწორედ ტარეშთან არის ნაპოვნი წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული თამარისა და რუსუდანის სპილენძის მონეტები ქართულ-არაბული წარწერით.

ჩვენი ვარაუდით ეკედერი ადრეფეოდალური ხანის ძეგლია. აქვე არის წრიული მოყვანილობის შიგნით ჩალრმავებული შესასვლელიანი ნაგებობა, ალბად წარმართული სამსხვერპლო. ამაყად შრიალებენ უძველესი ნალკოტის ნაშთები — ბომონები, ორი ათასწლოვანი ურთხმელა, რომლის გარშემოწერილობა 5 მეტრს აღემატება. მესამე ხე რამდენიმე წლის წინათ მცხს გაუნადგურებია. აღნიშნული ადგილი ამინდის ღვთაებას — ტაროსს უნდა უკავშირდებოდეს (ხე ფურ აზიური ტარო). სახელი ტარეში წარმომდგარია ამგვარი დიალექტიკური სახეცვლილებით ტარხონისაგან — ტარჰონი — ტაროსნი — ტაროსი, რაც ფონეტიკური ცვლილებით და მეტათეზისით ვითარდება და მეგრულ ტარეშ-ს შეესაბამება.

თვით სახელი კინჩხა როგორც ამას გ. ელიავა ვარაუდობს წარმომდგარი უნდა იყოს „იკინჩხა“-სგან და შეესაბამება ჭანურ სამშაბათის სახელწოდებას, რაც ღვთაების საპატივცემულოდ დაწესებული სარიტუალო დღე ყოფილა. შესაძლებელია ეს სახელი სამხრეთ აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა ჭანურმა ელემენტებმა დაამკვიდრეს უძველეს დროს.

წულუკიძის რაიონის სოფლებში — სუხჩაში, კინჩხაში და გორდში ორ ადგილას დასტურდება შინაური ცხოველების მფარველი ღვთაება „ისქელდას“, „ისქელდა — (ბატონის) საკულტო-სარიტუალო ადგილების არსებობა—ნაგებობების ნაშთით, სალოცავი ქვევრებით, წყაროებით და ნალკო-



ტით. ქართულ წარმართულ პანთეონში ეს ღვთაება უცნობია და მისი შესწავლა ნაღვა მეტად საშური და აუცილებელი საქმეა. შესაძლებელია, რომ მისი წარმართული სახელი შენარჩუნებული იყოს შაბათის მეგრულ-ჭანურ-სვანურ სახელწოდებაში "საბატონო" და სვანურ „საფტინ“-ში, „ან სამტინში“ და შინაური ცხოველების მფარველად იქნეს მიჩნეული. მეფოგეობა ქართველი ტომის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო და ქართული წარმართული დღეთა სახელები ალბათ რომელიმე ღვთაების სარიტუალო დღედ იყო გამოცხადებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამოგვაქვს დასკვნა, რომ სოფელ კინჩხის ძეგლები კიბულა, ნაეკლესიარი გორა, კადარი, (წმინდა დადიანი), ახო, ღვა-ლბაჯანი, ტარეშის ძეგლ-კომპლექსი და ისტელდას სარიტუალო ადგილები ჯერჯერობით შეუსწავლელია და ელის ლინგვისტის სპეციალურ გამოკვლევას და არქეოლოგის ნიჩაბს.



## სოფელ ვალეს ისტორიისათვის

სოფელ ვალესა და მისი ეკლესიის დაარსების შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს, ხალხური თქმულებათა უმრავლესობა ვალეს შესახებ ძალიან გავს ერთმანეთს, მაგრამ არსებობს საკმაოდ განსხვავებული სახის ხალხური გადმოცემებიც. ასევე მრავლადაა გამოქვეყნებული მასალები ვალეს ეკლესიის თავდაპირველი მშენებლობის დაახლოებითი დათარიღებისა და შემდგომი აღდგენა-გადაკეთების შესახებ.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ შევეხებით არსებულ ლეგენდებსა და გამოქვეყნებულ წყაროებს ვალეს ეკლესიის შესახებ და აგრეთვე აღნიშნავთ ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით დღემდე შემორჩენილ ე. წ. „თათრების აბანოს“ არსებობას, ვალეს „ღვთისმშობლის“ ეკლესიის მშენებლობის დათარიღებას უნდა ვუმაძღოდეთ მეცნიერ-მკვლევარებს, რომელთა მიერ ტიტანური შრომაა დახარჯული ათეული წლების განმავლობაში. კერძოდ, აი, რას ვკითხულობთ სხვადასხვა წყაროებში ეკლესიის შესახებ:

„პირველ ცნობებს ვალეს ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ გვანვდის აკადემიკოსი მ. ბროსე — წერს მკვლევარი რუსუდან მეფისაშვილი თავის ნაშრომის „ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი ეტაპის“ შესავალში, რომელიც გამოქვეყნდა ქართული ხელოვნების მესამე ტომში 1950 წელს და იგი აქვე აგრძელებს, რომ „მოკლე, სულ რამოდენიმე სტრიქონიანი აღწერილობის შემდეგ, ავტორი (მ. ბროსე) დანერვილებით ჩერდება სამხრეთი სვეტის ვრცელს, დედისიმედის მიერ ამოკვეთილ წარწერაზე და ამ წარწერის საფუძველზე ტაძრის აშენების თარიღად მე-16 საუკუნეს მიიჩნევს“. შემდეგ რუსუდან მეფისაშვილი აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ქვაბლიანის ხეობაში მოგზაურობის დროს ვალეს ეწვია პ. უვაროვა, რომელსაც უნდა ვუმაძღოდეთ ძველის ვრცელს, ნახაზებით თანდართულ აღწერილობას“. დათარიღების საკითხში უვაროვაც იგივე აზრისა იყო, მაგრამ აღნიშნავდა რომ ძველი ძალიან ძველის შთაბეჭდილებას ტოვებსო. ამის შემდეგ 25-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ძველის ეს დათარიღება პირველად გადაჭრით უარყო პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილმა“ და განაგრძობს ავტორი, რომ „წარწერების, განსაკუთრებით კი სამხრეთის სვეტის წარწერის დანერვილებითი შესწავლის შედეგად მან გამოარკვეა, რომ ეს უკანასკნელი ეკუთვნის ძველის მეორედ აშენების ე. ი. გადაკეთების და არა თავდაპირველად აშენების ხანას. ძველის თავდაპირველი აშენების თარიღისათვის ექვთიმე თაყაიშვილი აღმოსავლეთი ფსადის რელიეფის გამოსახულებას იყენებს. მასზე გამოსახული „კრავის“ გაიგივება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებულ სამცხის აზნაურის მირიანის მეუღლის კრავთან, შესაძლებლობას იძლევა ვალეს აშენების თარიღად VIII-IX საუკუნეები მიიჩნიოს, მაგრამ, აგრძელებს ავტორი (გვ. 27) — ეს „კრავი“ ცნობილია სამი ისტორიული საბუთით. პირველად, როგორც



ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, ის გვხვდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, შემდეგ თამარ მეფის ანონიმური ისტორიკოსის თხზულებაში კრავი ჯაყელი და ბოლოს, ლ. მუსხელიშვილის აზრით, იგივე კრავი ნახსენებია პამპალოს XII-XIII სს. მიჯნის ძეგლის წარწერაში. ვალებს „კრავის“ მიჩნევა პირველწყაროს ანალოგად გვაიძულებდა — წერს ავტორი, რომ ჩვენც ექვთიმე თაყაიშვილის მსგავსად მე-9 საუკუნით დაგვეთარიღებინა, ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსის კრავის თანახმად, ის თამარის პერიოდს შეეფარდება. ორივე ეს ხანა თანაბრად დაშორებულია იმისგან, რაზედაც ძეგლის დეკორატიული მორთულობისა და ორნამენტთა მოტივების სტილისტური თავისებურებები მიგვითითებსო და აღნიშნავს, რომ ამ თავისებურებათა მიხედვით ტაძრის აგების თარიღად მე-10 საუკუნის უკანასკნელი ათეული წლები უნდა მივიჩნიოთ“. ავტორი აქვე ასკვნის, რომ „თავდაპირველად ვალებს წარმოადგენდა გუმბათიან ტაძარს, დღევანდელ მღვთმარეობაში კი ვალებს ტაძარი წარმოადგენს ე. წ. სამნავიან ბაზილიკას ერთი წყვილი სვეტი. თითოეულ ნაეს ეარედან საკუთარი სახეუაივი აქვს: შუას — ორკალთიანი, გვერდებისას კი ცალკალთიანი“. იგივე აზრისაა „სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლების“ ავტორი ვახტანგ ბერიძე, რომელიც თავის ნაშრომში ეხება რა წარწერას, ხაზგასმით აღნიშნავს (გვ. 45), რომ „სამხრეთის ბოძზე ამოკვეთილია დიდი წარწერა სამ სვეტად (სულ 45 სტრიქონი). ეს ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლის დედისიძემდის მიერ ძეგლების შეკეთების ამბავს 1561-1564 წლებში“, და ბოლოს, აი რას ვკითხულობთ 1980 წელს გამოცემულ, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეოთხე ტომში ვალებს შესახებ:

„ვალე რაიონული დაქვემდებარების ქალაქია 1962 წლიდან... ვალეში არის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — „ღვთისმშობლის ეკლესია“, ახლანდელი ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკაა (მე-16 ს), თავდაპირველად კი გუმბათიანი ტაძარი ყოფილა (მე-10 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)... შენობის სახურავის კეხზე სამრეკლო მე-18 ან მე-19 საუკუნეში უნდა იყოს დადგმული“.

ამგვარად, როგორც ვხედავთ ვალებს ეკლესიის მშენებლობის საბოლოო თარიღად მიჩნეულია X ს. უკანასკნელი მეოთხედი, ისიც ცნობილია, რომ ათაბაგის მეუღლის დედისიძემდის მიერაა ძეგლი აღდგენილი XVI ს., მაგრამ კონკრეტულად რომელ წელს აშენდა ეს ეკლესია, ვინ ააშენა და რა ერქვა მაშინ ამ სოფელს, ამის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება; არც ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დღემდე შემორჩენილი ე. წ. „თათრების აბანოს“ შესახებაა რაიმე ცნობილი. შესაძლებელია მართლაც უმნიშვნელო და გვიანდელი ხანის ნაგებობაა ის, მაგრამ მაინც ვფიქრობთ ზოგადად შევეხოთ მას.

ამჟამად ეს შენობა პანტელ დავითის ძე ნადირაძის ეზოშია მოქცეული, გარედან ერთი შესედვით ის ბანური ტიპის სახლს მოგვაგონებს. თვით პანტელ ნადირაძეც ამ შენობას „თათრების აბანოს“ უწოდებს, თანაც იმის დასადასტურებლად, რომ ეს ოდესღაც აბანო ყო-



ვალე. ღვთისმშობლის ეკლესია (X ს.)  
დასავლეთის მხარე, საიდანაც იწყება  
გვირაბი.

ვალე. Церковь богородицы (X в.).  
Западная часть, откуда начинается  
тоннель.



ვალე. „თათრების აბანოს“ ხედი სამხ-  
რეთ-დასავლეთიდან.

ვალე. «Турецкая баня». Вид с Юго  
запада.





ფილაო იგონებს ერთ შემთხვევას, „რამდენიმე წლის წინ, გაზაფხულში ძალიან დიდი ნვიმების დროს წყლით გაივსო აბანო, მეორე დღეს კი ვნახე წვეთი წყალიც კი აღარ იყო დარჩენილი და ამიტომ მგონია, რომ მას აქვს სადღაც წყლის გასაჯალიო“.

მე ამ გარემოებამ დამაინტერესა და ვნახე იატაკი, რომლის აღმოსავლეთით, მარჯვენა კუთხეში, აღმოჩნდა საგანგებო წყალსადენი თიხის მილი. ჩრდილოეთის ფანჯრის დაბლა კედელში მცირე ზომის ორი ხერე-ლია, მაგრამ რა დანიშნულებისა არიან ვერ ვიტყვი, ვფიქრობ წყლის შემოსასვლელი უნდა იყოს, თუმცა ძალიან წერილი ხერელებია, იატაკიდან საკმაოდ დაცილებული (50—60 სმ).

ჩრდილოეთით და სამხრეთით აქვს პატარა ფანჯრები (სამხრეთის ფანჯარა ამჟამად ამოშენებულია). სახურავზე სამი სარტყელია ქვისაგან ნაშენი, ზემოდან ქვისავე ფილებითაა გადახურული; კედელზე, კარებზე და ჭერზე არავითარი ორნამენტი არ შეინიშნება. შეიძლება მართლაც იყო აბანოდ გამოყენებული ეს შენობა მაჰმადიანების მიერ, მაგრამ როდის და ვინ ააშენა ასე ახლოს ქრისტიანულ ეკლესიასთან, ამის შესახებ არაფერია ცნობილი, ისევე როგორც დღემდე არაფერია ზუსტად ცნობილი ჩვენთვის იმ გვირაბის შესახებ, რომელიც ეკლესიის სამხრეთის კარებიდან იწყება და გრძელდება მდინარე ფოცხოვის მიმართულებით. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ეს გვირაბი თითქოსდა გრძელდება მდინარის ნაპირამდე, რომლის დანიშნულებაც იყო მტრის შემოსევის დროს ტაძარში ჩაკეტილი მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება. ნამდვილად გრძელდება თუ არა ეს გვირაბი მდინარემდე, ამის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ 1979 წლის ოქტომბერში ეკლესიის მიდამოების დათვალიერებისას, ეკლესიის ახლოს მცხოვრებმა გ. ბებნაძემ მაჩვენა ეკლესიის სამხრეთით 100-120 მეტრის დაშორებით ჩანგრული გვირაბი. სოფლის ბოლოს კიდევ ყოფილა შემჩნეული გვირაბის ნანგრევები იმ მიმართულებით, საითკენაც ხალხური გადმოცემები მიგვითითებს. როდის აშენდა ეს გვირაბი არც ამის შესახებაა რაიმე ნათქვამი ხალხურ გადმოცემებში და ალბათ არც არაფერია გამოქვეყნებული. ვფიქრობ, იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც გავცეთ პასუხი ამ კითხვებს, საჭიროა ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული თქმულებების შესწავლა და მათი შედარება, რადგან შეიძლება ოდნავ მაინც დაგვეხმაროს ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესწავლაში.

ჯერ კიდევ XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში პრესაში ქვეყნდებოდა სხვადასხვა ხასიათის თქმულებები ვალეს ეკლესიისა და სოფლის დაარსების შესახებ. ასე მაგალითად, 1902 წლის № 5 ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნდა ბაგრატ ბეთანელის მიერ ჩაწერილი ხალხური გადმოცემა სათაურით: „სოფელ ვალეს სახელწოდებაზე“, სადაც ვკითხულობთ, რომ „ერთხელ, ძალიან ძველ დროს, ერთს იმერელს აბასთუმნის გზით აქეთკენ ჩამოუვლია, გაუტოპავს ფოცხოვის წყალი და დაუნახავს ერთი ძველი ტაძარი, მისულა, დაუთვალიერებია ეს ტაძარი, ძალიან მოსწონებია და დაბრუნებისას ერთი მუჭი ცერცვი მიუბნევია და უთქვამს „ეს შენ მოგავალეო“, რამდენიმე



თვის შემდეგ იმერელს ისევ აქეთ გამოუვლია და უნახავს, რომ მის მიერ ტაძართან მიპნეული ცერცვი ამოსულიყო და ძალიანაც გაზრდილიყო. იმერელს მოსწონებია ეს ადგილები და გადმოსახლებულა აქ საცხოვრებლად. როცა ეს ცერცვი მოუთიბავს, უთქვამს „ვალი მივიღეო“, ამიტომაც ამ სოფელს ჯერ ვალი რქმევია, შემდეგ კი ვალე დარქმევიაო. არსებობს სხვა ხასიათის და შინაარსის ლეგენდებიც, მაგალითად, „ძველ დროს — გადმოგვეცემს 80 წლის ნადირაძე, — როცა თათრები იტაცებდნენ ჩვენს ბავშვებსა და ქალებს სოფლის ვაჟაკები დახვდებოდნენ სოფლის ბოლოს და ანთავისუფლებდნენ ქართველ ტყვეებს, ეს ვაჟაკები თავის ვალად თვლიდნენ, რომ მუდამ ებრძოლათ ქართველი ტყვეების განთავისუფლებისათვის და ამიტომ დაერქვა სოფელს ვალეო, რა ერქვა სოფელს მანამდე არ ვიცითო“.

აღნიშნული თქმულებებიდან შედარებით განსხვავებული და საინტერესო გადმოცემად შეიძლება ჩაითვალოს ხალხური თქმულება, რომელიც ჩამანერინა 1975 წელს ვალეს კოლმეურნეობის მოანგარიშემ (ან განსვენებულმა) დავით (დათიკო) სოლომონის ძე გიორგაძემ.

„ერთხელ, ძალიან ძველ დროს ერთი შეძლებული კაცი თავის თანმხლებით სტუმრად წამოსულა სოფელ ორლიდან (პამაჯის მეზობელ სოფლიდან) სოფელ ოჯორჯალზე გადმოვლით მაშინდელ სოფელ ირქას (თუ ყორაშენს) და როცა ჩამოუვლია იქ სადაც ამჟამად ჩვენი ეკლესია დგას, დაუსვენიათ ტყეში პატარა მდინარის პირას, რომელიც თურმე მაშინ წყალთბილის მხრიდან ჩამოედინებოდა. ამ მდინარე კაცს მოსწონებია ეს ადგილები და უთქვამს: ჩემი ვალია მეზობელ სოფლის მოსახლეობის დახმარებით აქ ეკლესია ავაშენოო. მართლაც ყველა მეზობელი სოფლის მცხოვრები მოსულა ამ ეკლესიის მშენებლობაზე, შემდეგ კი ამავე სოფლებიდან მოსახლეობის ნაწილი გადმოსახლებულა აქ საცხოვრებლად. სოფელსაც ვალი, შემდეგ კი ვალე დარქმევია, რადგან იმ მდინარეს უთქვამს: „ჩემი ვალია ეკლესია ავაშენოო“. 75 წლის მრხუცი ე. მანველოვი ვალეს ეკლესიის მშენებლობის შესახებ კითხვაზე პასუხობს, რომ „მართალია არ ვიცით არავინ თუ ვინ ააშენა ეს ეკლესია, მაგრამ ის კი გამიგია, რომ ძალიან ბევრი ხალხი მოსულა მეზობელ სოფლებიდან ამ ეკლესიის მშენებლობაზე. იმდენი ხალხი ყოფილაო — განაგრძობს მთხრობელი, რომ ხელიდან-ხელში გადაწოდებით ჩვენ ხალხს მთიდან ქვები ჩამოჰქონდათო“. აი, კიდევ საყურადღებო გადმოცემები, რომელიც ჩამანერინეს ვალეს მკვიდრმა თევდორე ალექსის ძე დემეტრაძემ, მათე დარბაზოვმა და სხვებმა 1980 წლის 20 მაისს: „ამბობენ, რომ ვალის, ჯაყისმანისა და კიდევ ერთი სოფელია თურქეთში, რომელსაც ალი ჰქვია, ამ სოფლის ეკლესია აუშენებია ერთ კაცსაო“, ან კიდევ, არის თქმულება, რომ ეს ეკლესია რვა ძმამ ააშენაო და ა. შ. სხვა თქმულებათა უმრავლესობაშიც ლაპარაკია ჯერ აშენებული ეკლესიის პოვნაზე უღრან ტყეში, შემდეგ სოფლის დასახლებაზე ან კიდევ სოფლის არსებობაზე, რომლის სახელიც არ იყო ცნობილი და, ბოლოს, თითქოს ამ თქმულებაში ჩანს პიროვნების ვინაობა, სადაურობა, (თუმცა გვარი და სახელი მაინც არაა ცნობილი ვინ ჩაუდგა სათავეში ამ ეკლესიის მშენებლობას, ან ვინ იყო ის ვინც ააშენა სამი ეკლესია სხვადასხვა სოფლებში). მაგრამ ვფიქრობ ისიც საკმარისია,

რომ გამოკვეთილია მშენებელ ხალხის სადაურობა (მეზობელ-სოფლის/ მცხოვრებნი). შედარებით უფრო ძნელი დასადგენი რჩება მშენებლობის დრო, რადგან, დღემდე შემორჩენილი ყველა თქმულება იწყება სიტყვებით: „ძალიან ძველ დროს“, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშაა ე. წ. „თათრების აბანოსა“ და მიწისქვეშა გვირაბის მშენებლობის დროც. თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ „თათრების აბანო“ ბევრად უფრო გვიანდელია, ვიდრე, თუნდაც ის გვირაბი, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით ეკლესიის მშენებლობაზე.

იმ სოფლის არსებობას, რომელიც აღნიშნულ ხალხურ თქმულებაშია მითითებული, ადასტურებს XVI ს. თურქული ლიტერატურული ძეგლი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ და აგრეთვე დღემდე შემორჩენილი ამ ადგილთა ტოპონიმები, სადაც წინათ იგივე სახელის სოფლები ყოფილა განლაგებული. სოფელი ორალი, რომელზეც მიგვითითებს დ. გიორგაძის მიერ გამოცემული თქმულება, არსებობს ახალციხის რაიონში; ამჟამად აქ ცხოვრობენ XIX ს. 30-იან წლებში გადმოსახლებული სომხები. რაც შეეხება სოფელ ყორაშენსა და ოჯორჯალს, მის არსებობას „ვილაიეთის დიდი დავთარიც“ ადასტურებს და ეხლანდელი ტოპონიმებიც. უნდა ითქვას, რომ სოფელი ვალეც „დავთარის“ შედგენის დროს საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა. ე. ი. ის რამდენიმე საუკუნის წინ იყო დაარსებული, მაგრამ როდის? საჭიროა შემდეგი კვლევა.

---

## პატრიოტული აღზრდის მკლავრი საშუალება

უკვე დიდი ხანია რაც თავის მრავალმხრივი მუშაობით მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომლის მტკიცე საფუძვლად უნდა გადავაქციოთ ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაციები.

ქ. თბილისის ქორეოგრაფული სასწავლებლის კულტურის ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაციის საბჭო სასწავლებლის დირექციასთან, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, მრავალფეროვან მუშაობას ატარებს მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული გრძნობისა და ეროვნული სიამაყით აღზრდის საქმეში.

სასწავლებელში პერიოდულად ეწყობა გამოფენები, შემდეგი თემატიკით: „გახედე საქართველო, მიწის ოცნება ზღაპარი“, „ნეტავ ვინ ააგო, რა ხელმა ააგო“, „სხვა საქართველო სად არის“, „დუმლით წამებენ და ხმამალა ღალადებენ ღვანლთა და შრომათა შემოქმედთა“, „ჩვენ საქართველოს დიდებას ვმღერით!“.

პერიოდულად ეწყობა მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, რომელსაც დიდი მონდომებით ხელმძღვანელობს სახვითი ხელოვნების მასწავლებელი სვეტლანა ბორისის ასული ალიბეი-ედიგვი.

ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაცია პერიოდულად უშვებს კედლის გაზეთს — „ჩუქურთმას“, რომელშიც მოთხრობილია ამა თუ იმ ძეგლის მოკლე ისტორიასა და განათლების უძველეს კერებზე; აქვეა მოთავსებული მოკლე ცნობები გამოჩენილ ხუროთმოძღვრებზე, ოქრომჭედლებზე, მხატვრებზე, არქეოლოგიურ აღმოჩენებზე, აღდგენილი ძეგლებისა და ძველი უბნების შესახებ და სხვ.

აღზრდის საუკეთესო საშუალებაა ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიულ ადგილებში, ბუნებაში, ქალაქის ახალ მშენებლობათა დათვალიერება და აღდგენილი სამუშაოების გაცნობა. სწორედ ამ მიზნით ჩატარდა მთელი რიგი ექსკურსიები მარშრუტით: ქალაქის I საშუალო სკოლა — ქაშუეთის ეკლესია — საჯარო ბიბლიოთეკა, ანჩისხატი — ვახტანგ VI — სტამბის მიდამოები.

ძეგლთა დაცვის საბჭო ყოველწლიურად საინტერესო ღონისძიებებით ეხმაურება რესპუბლიკის მნიშვნელოვან მოვლენებს, საიუბილეო თარიღებს. ამ მიზნით ჩატარდა გოგებაშვილის „დედა-ენის“ 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი-სალამო მთაწმინდაზე, რომელშიც მონაწილეობდა ქართველი მწერლებისა და პოეტების ჯგუფი.

ტრადიციულად დავამკვიდრეთ ჩვენს ღონისძიებებში მეცნიერების, მწერლების, პოეტების, ხელოვნების მუშაკებისა და საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობა.



ქორეოგრაფიული სასწავლებლის მიერ ფოლკლორის ტაძარში ჩატარებულ ღონისძიებას მონაწილეობა ეტოი ჭგუფი.

Группа участников мероприятия организованная хореографическим училищем, которая проводилась в храме фолклора.

ჩვენს ღონისძიებებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: იოსებ ნონეშვილი, მორის ფოცხიშვილი, ლადო სულაბერიძე, სოფიკო ჭიაურელი, მედეა ჯაფარიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი და სხვ. აგრეთვე საქ. კულტურის სამინისტროს, ოქტომბრის რაიონის პარტიული კომიტეტისა და აღმასკომის პასუხისმგებელი პირები.

მუშაობაში საქმიან დახმარებას და ხელმძღვანელობას გვიწევს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ოქტომბრის რაიონული საბჭო. მათ დადებითად შეაფასეს ჩვენი მუშაობა და დაგვაჯილდოვეს კულტურის ძეგლების ფოტო სტენდითა და სამდღიანი ექსკურსიის საგზურით.

მოსწავლეთა ესთეტიკურ-ზნეობრივი აღზრდის მიზანს ემსახურებოდა ისტორიული მხატვრული კომპოზიცია თემაზე:

„მეამაყება მე შენი, ლამაზი დედა-შვილობა“

რომელიც ქორეოგრაფიული სასწავლებლის კულტურის ძეგლთა დაცვის პირველადმა ორგანიზაციამ ჩაატარა ქართული ფოლკლორის ტაძარში. სასწავლებლის მოსწავლეებმა ზუსტი ისტორიულ-მეცნიერულ მასალებზე დაყრდნობით საინტერესოდ წარმოადგინეს თემის შინაარსი. ისინი აღფრ-





თოვანებით მოგვიტოხობდნენ ბაგინეთის, მცხეთის ჯერის, ალავერდის, გელათის, ნიკორწმინდის, ზარზმის, სვეტიცხოველის და სხვა ძეგლები, მოკლე ისტორიას, მხატვრულად წარმოთქვამდნენ ლექსებს თითოეულ მათგანზე, ჩინებულად მიჰყავდა ისტორიულ-მხატვრული კომპოზიცია II კურსის მოსწავლეს თამარიკო რუხაძეს.

ქართული ფოლკლორის ტაძარში ამ ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოების მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება ის დიდი შთაბეჭდილება, რაც მათზე მოახდინა ჩვენი საპატიო სტუმრების: ვ. ბერიძის, თ. სანიკიძის, ო. სანებლიძის და სხვების შთამაგონებელმა სიტყვებმა.

სასწავლებლის შენობაში სტუმრებმა დაათვალიერეს ამ ღონისძიებისადმი მიძღვნილი გამოფენა თემაზე: „ჩვენ საქართველოს დიდებას ვმღერით“, და კმაყოფილება გამოთქვეს განუღმ მუშაობაზე.

პარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის მძლავრი საშუალებაა მათი ერის წარსულისა და აწმყოს ყოფის გამომსახველი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები. ამ საშუალებათა მოხმარება, კულტურის ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაციების უშუალო მოვალეობაა, ამიტომ უნდა ავამაღლოთ მათი როლი, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მუშაობაში. აღვზარდოთ ახალგაზრდობა მაღალი ზნეობის, პატრიოტული სულისკვეთებით, შეეუქმნათ მათ სულიერი კულტურის სიმდიდრე.

ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგებიც დიდ პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნია რომ საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების არცერთი მასწავლებელი არ დარჩეს ისე, რომ თავისი შეძლების მიხედვით დახმარება არ გაუწიოს ძეგლთა დაცვის საზოგადოებას.

პედაგოგებიც გადაწყვეტილი გვაქვს გარკვეული თანხა ჩავრიცხოთ ძეგლთა დაცვის ფონდში და ამით ჩვენი მოკრძალებული ნვლილი შევიტანოთ ამ დიად საქმეში.



АННОТАЦИИ

А. НОСЕЛИАНИ

ОТКРЫТИЕ ЛАПИДАРНОЙ НАДПИСИ КРЕПОСТИ ХОМУЛИ  
И ЕЕ НАУЧНОЕ ЗНАЧЕНИЕ

Село Хомули, которое расположено вблизи города Кутанси, богато историческими памятниками. Крепость Хомули — одна из значительных памятников раннефеодалного периода. В первой половине XVII века крепость была возобновлена и сделана лапидарная надпись, на южных воротах ограды.

Надпись исполнена шестнадцатисловным стихом, где упомянуты имена Заала и Георгия Гогаберидзе. Заал Гогаберидзе был видным политическим деятелем при дворе царя Александра III, а также во время царствования Ваграта Александровича. Исторические сведения о Георгии не сохранились.

М. ЦЕНТЕРАДЗЕ, Д. ДАТУНАШВИЛИ, Т. НЕМСАДЗЕ

ПРИМЕР ВОССТАНОВЛЕНИЯ И УКРЕПЛЕНИЯ ПАМЯТНИКА

Зальная церковь Хоспио является памятником грузинской архитектуры X в. сводчатым перекрытием, размеры которой в плане  $6,5 \times 12,0$  м, а высота до пяти свода — 6,2 м.

Со временем памятник потерпел разрушительные воздействия: обвалилось сводчатое перекрытие, северная продольная стена получила крен, в результате чего в узле сопряжения ее с западной стеной образовалась трещина шириной 20 см.

Для возвращения памятнику первоначального архитектурного облика нужно было указанную стену привести в вертикальное положение, восстановить сводчатое перекрытие и устроить ж. бетонный пояс по всему контуру сооружения.

Решили повернуть отклонившуюся стену на отметке 1, 2 м. от уровня пола посредством затяжек их натяжением на параллельной (южной) стене. Был составлен соответствующий проект, который предусматривал: устройство борозды вдоль стены с внутренней стороны на отм. 1, 2 м. от уровня пола посредством снятия лицевых камней и частичной разборки забутовки, установку металлических стоек на плоскости фасадов двух параллельных стен в три ряда и установку за-

затяжек в двух уровнях. (Чертеж I, чертеж II).

Такая конструктивная схема последующим натяжением затяжек должна была обеспечить выпрямление отклонившейся стены.

В проекте было предусмотрено также мероприятие, обеспечивающее временное крепление стены и др.

Выполнение реставрационных работ было поручено начальнику участка специального научно-производственного объединения Ш. Омнадзе.

После осуществления всех мероприятий и указаний, предусмотренных по проекту, отклонившаяся стена приняла вертикальное положение, трещина практически закрылась.

После устройства ж. бетонного пояса и инъектирования остальных трещин цементным раствором были восстановлены свод, лицевые поверхности стен, а также была устроена двухскатная крыша.

Таким образом, реставрация памятника осуществилась с полным сохранением всех его архитектурных и конструктивных элементов, и, что главное, без разборки отклонившейся стены.

Настоящий пример восстановления памятника является результатом совместной творческой работы реставраторов-проектировщиков и строителей.

**МЕРЫ БОРЬБЫ ПРОТИВ РАСТЕНИЙ НА ВАЧНАДЗИАНСКОМ «КВЕЛАЦМИНДА»**



Одной из важнейших задач в деле защиты памятников является борьба против растений — разрушителей памятников.

Церковь «Квелацминда» Вачнадзиани, памятник VIII—IX вв., был покрыт лишайниками, мхами, травянистыми и древесными растениями —

всего 48 видов, 43 рода из 30 семейств.

Так как срубка и механические методы очистки памятников вызывают интенсивное развитие растений, нами были выработаны химические методы их уничтожения.

Результаты положительные.

Г. КИЗИРИЯ, М. ЦЕНТЕРАДЗЕ

**РЕЗУЛЬТАТ ВЫЧИСЛЕНИЯ АРОЧНОГО ПРОЛЕТА МАХУНЦЕТСКОГО МОСТА**

Каменные мосты, построенные в раннефеодальном периоде и на сегодняшний день имеют практическое значение, вызывая большой интерес с точки зрения творческого конструирования.

Недавно была проведена реставрация Махунцетского моста, построенного в XII веке. Во время реставрации были детально изучены конст-

рукции и принцип построения моста. Выяснилось, что он не нуждается в серьезных восстановительных работах. Был восстановлен только лишь верхний покров, а трещины были заполнены известковым раствором.

На сегодняшний день восстановлен и укреплен один из интереснейших памятников Грузинской архитектуры — Махунцетский мост.

С. ЧАНТУРИШВИЛИ

**ФОРМЫ НАКАЗАНИЯ В РАННЕФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ**

Древнегрузинские литературные памятники содержат интересные сведения о форме наказаний, существующих в Грузии в раннефеодальном периоде.

В основном выделяются наказания двойного рода — телесные и нрав-

ственные. В памятниках упоминаются такие меры наказания как заковывание в кандалы, накладывание на шею тяжелой железной цепи, бритье головы и бороды, прокалывание ноздрей, расятие на бревне, побой, заточение в крепость, высылка и т. д.

Ц. БЕЗАРАШВИЛИ

**СВАНСКАЯ ШАПКА**

В статье детально описаны народные способы изготовления в Грузии и за ее пределами очень популярной

мужской войлочной шапки — «Сванури».

К. САМУШИЯ

**ВОПРОСЫ ЭТИМОЛОГИИ НЕКОТОРЫХ ГЕОГРАФИЧЕСКИХ ИМЕН ЯЗЫЧЕСКОГО ПЕРИОДА — УРТСКИЙ АНСАМБЛЬ**

Автор статьи старается установить этимологию некоторых географических имен Уртского ансамбля. Автор расшифровывает следующие названия: «Цаиши», «Урта», «Джегета», объясняя их значение.

На сегодняшний день опубликована не одна корреспонденция на эту тему, но автор считает, что еще предстоит много работы для исследования этимологии этих географических имен.



А. ПАИЛОДЗЕ

### ДОСТОПРИМЕЧАТЕЛЬНОСТИ СЕЛА КИНЧХА

Село Кинчха расположено в северо-западной части Имеретинского края, на холме; окружен горами, скалой «Клейда» и богатыми флорой и фауной лесами. Здесь горная река Оцаце создает каньон (длиной 16 км.), несколько озер и водопадов.

Автор статьи ставит своей задачей ознакомить читателей с достопримечательностями и богатым прошлым села Кинчха.

Гора «Хочола» является местом археологических находок. Обнаружены предметы бронзового и неолитического века, свисток с бронзовыми браслетами, знаменитая золотая монета аки — античного периода, которая датируется III в. до н. э. и т. д.

Достопримечательностью села является укрепленный комплекс. Естественные преграды жители городища подкрепили мощной системой искусственных оборонительных сооружений.

Село вызывает интерес с лингвистической точки зрения. Здесь живут представители двадцати шести фамилий, говорящие на разных диалектах.

В селе обнаружена искусственная пещера, где по историческим и археологическим данным, обрабатывали медь. Можно предположить, что в селе существовало несколько очагов металлургии.

Недалеко от крепости расположена церковь и место для исполнения культовых обрядов.

Автор статьи пытается установить по историческим данным и письменным источникам этимологию терминов: «тарам», «искезда», «кинчха», которые обозначают наименования исторических мест.

Исторические места села Кинчха представляют огромный интерес и требуют тщательного изучения.

С. ЗАКРОШВИЛИ

### ИЗ ИСТОРИИ СЕЛА ВАЛЕ

Село славится своим историческим прошлым, памятниками древности. Одним из таких памятников является известная церковь X века, о которой идет речь в статье. У южной двери церкви начинается туннель, который должен был служить водопро-

водом. Недалеко от церкви построена так называемая «татарская баня», которая пока не исследована.

Автор использует исторические сказания для установления этимологии названия села.

С. ХУЛЕЛИДЗЕ

### МОГУЧЕЕ СРЕДСТВО ПАТРИОТИЧЕСКОГО ВОСПИТАНИЯ

Давно уже в хореографическом училище г. Тбилиси действует первичная организация Общества охраны памятников культуры, которая совместно с дирекцией, партийной и комсомольской организациями ведет в училище активную работу с целью патриотического воспитания молодежи. Периоди-

чески устраиваются выставки, экскурсии, конференции, беседы и другие мероприятия. Первичная организация ведет широкую пропаганду памятников истории и культуры, которая воспитывает чувство любви к родине, глубокое уважение к ее истории, труду и таланту народа.

A. IOSELIANI

OPENING OF A NEW LAPIDARY INSCRIPTION OF THE CASTLE OF  
KHOMULI AND ITS SCIENTIFIC IMPORTANCE

The village of Khomuli which is situated near the town of Kutaisi is rich in historical monuments, among which the castle of -Khomuli- of early feudal period should be mentioned. The castle was restored in the XVII century and the restorers made lapidary inscriptions on the South wall. It has the form of a poem. The author of the

article deals with this inscription and tries to ascertain its historical, scientific and artistic value.

In the inscription the names of two restorers - Zaal and Giorgi Gogoberidze are mentioned. Zaal Gogoberidze was a popular historical figure, whose name is more than once mentioned in the annals.

M. TSENTERADZE, D. DATUNASHVILI, T. NEMSADZE

GOOD EXAMPLE OF RESTORATION AND STRENGTHENING OF THE MONUMENT

Khospio, a hall type church is a remarkable monument of Georgian architecture. In the article the author gives a detail account of the sequence of the restorational work which was carried out in the church of Khospio.

The preservation of all the architectural and constructive elements of the monument during the restoration was stipulated by the restoration plan.

N. TSANAVA, N. TODUA, L. TOPURIA, M. GAMKRELIDZE, N. SHILAKADZE.

PLANTS CAUSING EROSION OF THE CHURCH OF «KVELATSMINDA» OF  
VACHNADZIANI AND STRUGGLE AGAINST THEM.

One of the most important problems in the field of protection of cultural monuments is struggle against various kinds of plants, which ruin the monument.

The church of «Kvelatsminda» in the village of Vachnadziani, which dates back to the 18th-19th cc. was covered with lichens, mosses, grassy and arboreal plants

- all in all of 48 kinds, of 43 genera, representatives of 30 families.

As the mechanical methods of getting rid of them only caused an intensive development of the plants, chemical methods were worked out to destruct them.

The plants on the church of «Kvelatsminda» are destroyed.

G. KIZIRIA, M. TSENTERADZE.

THE RESULTS OF THE CALCULATION OF MAKHUNTSETI BRIDGE ARCHED SPAN

Stone bridges which date back to the XI-XII cc. have survived till present day. Their constructions are still of great interest for specialists. Makhuntseti stone bridge of yearly feudal period was restored not long ago. During the restorational

work it turned out that the bridge didn't stand in need of any capital repairs. Only its upper covering was restored and cracks were filled with mortar.

The ancient stone bridge has still survived its practical importance.

S. CHANTURISHVILI

FORMS OF PUNISHMENT IN EARLY FEUDAL GEORGIA

The old Georgian literature includes much interesting information about the

forms of punishment which existed in Georgia in early feudal period.



Actually two kinds of punishments - that is of physical and moral can be distinguished.

The different measures of punishment are also mentioned in literature, such as:

putting shackles on; shaving of the head and of the beard; piercing of the ears; crucifixion; beating; incarceration in castle; exile, etc.

**Ts. BEZARASHVILI**

### SVANETIAN HATS

The article gives a detailed description of the process of manufacturing of a very popular hat. It is called «Svanuri», because

it was first produced in Svaneti, but nowadays it is widely used in all parts of Georgia.

**K. SAMUSHIA**

### ON THE PROBLEM OF THE ETYMOLOGY OF SOME GEOGRAPHIC NAMES OF THE HEATHEN PERIOD

The author of the article makes an attempt to establish the etymology of some geographic names of the Urti ensemble. A number of papers dealing

with this topic has already been published, but the author thinks that there is still a lot of research work to be done into the etymology of these names.

**A. PAILODZE**

### HISTORICAL ATTRACTIONS OF THE VILLAGE OF KINCHKHA

The author of the article sets as his objective to familiarize the readers with places of interest and the rich past of Kinchkha village which are worth study from the linguistic, archaeologic and architectural points of view.

and other records to establish the etymology of the terms denoting the names of the historical places.

The author tries, using historical data

The historical places of Kinchkha-village are of great interest and require careful study.

**S. ZAKROSHVILI**

### SOME FACTS FROM THE HISTORY OF THE VILLAGE OF VALE

The village is famous for its historical past and ancient monuments. Among these monuments should be mentioned a remarkable 10th cent. church which is considered in the article. At the southern door of the church the tunnel begins which was to serve as a water-pipe.

Nearby, there is a so-called «Turkish bath-house» which has not been studied yet.

The author makes use of historical legends to establish the etymology of the name of the village.

**S. KHULELIDZE**

### STRONG MEANS OF PATRIOTIC UPBRINGING

The article deals with the work of the local organization of the Society for protection of cultural monuments in the Chorographic College.

logical and aesthetic meaning. Various kinds of exhibitions, excursions in the historical places of Tbilisi and Georgia, seminars, scientific conferences which usually arranges the local organization serve to this purpose.

Deep knowledge of historical and cultural monuments of Georgia develops patriotism in children and has great ide-



Серия: Памятники материальной культуры  
Выходит на общественных началах

«ДЗЕГЛИС МЕГობარი»

(друзья памятников культуры)  
Сборник пятьдесят восьмой  
(на грузинском языке)

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭავაძე (პრეზიდენტი), ოთარ თაყთაიშვილი, ირაკლი ჯაპარიანი, ნიკო კახიანი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მახარაძე, ოთარ სანაშელიძე, თენგიზ ფარაძე, ვიორგო ჩიბანი, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ცინციშვილი  
რედაქტორი — თენგიზ ფარაძე

Редактор серии **Иракий Цицишвили**  
Редактор **Тенгиз Перадзе**

**გამომცემის საზოგადოებრივი საწესიწესებო**

გადაეცა წარმოებას 21/XI-1981 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 13/1982 წ., ფიზიკურ ფორმითა რედაქციის მისამართი შეეთულის ქ. № 5/7. ტელ. 93-56-14.  
შეკვ. № 2407 უე00311 ტირაჟი 3.000

ფასი 1 მანეთი  
Цена 1 руб.

